თებერვალი
1939 წ.
№ 154
პარიზი

# დამოუკიდებელი საქართველო

La Géorgie
Indépendante
Revue mensuelle
FEVRIER
1939 — № 154
Paris

საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანო.

მინაარსი:

მეთაური—კავკასიის ამოცანა.
ი. სალაყაია—ევროპა დიდი ომის შემდეგ.
ი. ნუცუბიძე—ეროვნული ფორმაცია ისტ. გასწვ.
ყ.—გერმანია და პრომეთეს იდეა.
ს. ფირცხალავა—ყურადღება!
ქართული ფილარმონ. წრის პირველი კონცერტი.
ნ. ი.—ნინოობა ბერლინში.
ნაური—წერილი ამერიკიდან.
ფ.—ბიბლიოგრაფია.
გრ. ურატაძე—ერმალო ებრალიძე.
გრიგოლ ნადარეიშვილი.
წერილი რედაქციის მიმართ.
უკრაინელთა შორის.
«პრომეთეს» კლუბი საფრანგეთში. და სხვ.

## კავკასიის ამოცანა

თუ ამ წლის დასაწყისში მსოფლიოს ყურადღება შეჩერებული იყო აღმოსავლეთ ევროპაზე და იქიდან ელოდენ დიდ ამბებს ადრე გაზაფხულისთვის, დღეს იგი თითქო დასავლეთ ევროპისკენ არის მიქცეული. ბარსელონის დაცემა და კატალონიის რესპუბლიკანელების მიერ დაცლა აახლოებს სამოქალაქო ომის დაბოლოვებას ისპანიაში და მით ხმელთა შუა ზღვის ამოცანა ყველაზე უაქტუალესი ხდება. იმედი დასავლეთის ოთხი დიდი სახელმწიფოს დაზავებისა, როგორც შედეგი მიუნხენის შეხვედრისა, თითქო არ მართლდება, და იტალია-საფრანგეთის მწვავე დაპირისპირება დიდ ხიფათში აგდებს მშვიდობიანობის საქმეს მათ შორის.

საერთაშორისო ვითარების ასე უეცრად შეტრიალებამ უკანა რიგში მოაქცია, უნდა ვიფიქროთ—დროებით, უკრაინის კითხვა, რომელიც ამ ერთი თვის წინ არაჩვეულებრივ ინტერეს იწვევდა როგორც პრესაში, ისე ზოგ დედა-ქალაქის გავლენიან წრეებში. ამ დროს ბევრს უკვირდა და სწყინდა კიდეც, რომ კავკასიის კითხვა არავის აგონდებოდა, ერთგვარად მიჩქმალული იყო! მაგრამ ივიწყებდენ უკრაინის გეოგრაფიულ სიახლოვეს იმ სახელმწიფოსთან, რომლისაგან მისი კითხვის პრაქტიკულად დასმას მოელოდენ, და რომ ამით უკვე თავის თავად ისმებოდა საბჭოთა კავშირის დაშლის კითხვა, რისი ბუნებრივი შედეგი კავკასიის მიერ მოსკოვის უღლის გადაგდება იქნებოდა.

ჩვენ უკვე ვაქცევდით აქვე მკითხველის ყურადღებას ამ მიზეზობრივ დამოკიდებულებაზე და ეხლა კი გვინდა, ცოტა ვრცლად შევეხოთ კავკასიის ამოცანას. თავდაპირველად უნდა შევნიშნოთ, რომ პრესის ახმაურება, მაგ., კიდევ არ ნიშნავს ვითომ ესა თუ ის კითხვა გადაჭრის კარზეა. ხშირია, პირიქით, შემთხვევა, როცა ჩამი ჩუმიც არაა, ირგვლივ სდუმან და კითხვა მაინც წამოიჭრება უეცრად და გადაჭრიან კიდეც. დამოკიდებულია იმაზეც, ბევრ თუ მარტო ერთ სახელმწიფოს აინტერესებს კითხვა. პირველ შემთხვევაში, ე. ი. თუ ბევრ სახელმწიფოს აინტერესებს, ცხადია, თვითეული მათგანი დანარჩენის უცოდინარად, საიდუმლოდ ცდილობს იმოქმედოს. კავკასიის კითხვა სწორედ ამ კატეგორიას ეკუთვნის!

თუ მივიღებთ მხედველობაში კავკასიის გეოგრაფიულ მდგომარეობას ორ ხმელთა შუა, მის სტრატეგიულ მნიშვნელობას და ბუნების სიუხვეს, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ მას ბევრი «მოტრფიალე» ჰყავს გადაღმა. ჩვენ არ ვამბობთ მარტო მეზობლებზე, ერთი კიდეც ფლობს და ჯიჯგნის მას, ჩრდილოეთიდან, მეორე და მესამე, სამხრეთიდან. საუკუნოები იბრძოდენ მის ხელში ჩასაგდებად, ფლობდენ კიდეც, თუმცა ხშირად ხელიდან უსხლტებოდათ მთლიანად თუ ნაწილ-ნაწილად.

მაგრამ დღეს მდგომარეობა რადიკალურად შეცვლილია. თუ მარტო ამ სამ მეზობელზე მიდგა სა-

ქმე, საყოველთაოდ აქსიომად უნდა იქნეს მიჩნეული, რომ რუსეთის ბატონობა კავკასიაში დაუსრულებელი გახდებოდა. მართლაც, წავიდა ის დრო, როცა მძლავრი ოტომანიის ან კიდევ სპარსეთის იმპერია მედგარ წინაამდეგობას უწევდა რუსეთს კავკასიის გამო. დღეს ისინი, თურქეთი და ირანი, შედარებით, საშუალო ტანის ეროვნულ სახელმწიფოებად ქცეულან და მათგან პირველს მეგობრული განწყობილება აქვს რუსეთთან, მაშინ როდესაც მეორე მძიმე ეკონომიურ გავლენას განიცდის მისგან.

ცხადია აქედან, რომ თურქეთსა და ირანს გადამწყვეტი როლის თამაში არ შეუძლიათ, ცალ ცალკე თუ ერთად, კავკასიის განთავისუფლების საქმეში. მაგრამ იმავე დროს, თუ ობიექტურად შევხედავთ არსებულ პირობებს, ისინი უთუოდ დაინტერესებულნი უნდა იყვნენ ამაში. ვინ არ იცის, რომ მოსკოვის «მეგობრობა» აიხსნება მხოლოდ მისი სისუსტით, თორემ ის რომ ძლიერი იყოს, იმავე გეზს აიღებდა სამხრეთ მეზობლების მიმართ, რასაც პეტერბურგი ატარებდა. მოსკოვის მიერ ამ უკანასკნელად შემოღებული პანსლავისტური ფრაზეოლოგია, მის მიერ რომანოვების დროის ურაპატრიოტობის ქადაგება და დაკანონება უკვე საკმაო ნათლად ამჟღავნებს რუსეთის იმპერიალისტურ ზრახვებს, მხოლოდ ბოლშევიკებს არ შესწევთ ძალა მათი განაღდებისათვის. მაგრამ არის თუ არა გარანტია, რომ რუსეთი მუდამ ასე უძლური დარჩება და ერთ მშვენიერ დღეს არ მოხდება იქ ისეთი გადატრიალება, რომელიც ერთბაშად აღადგენს ნორმალურ მდგომარეობას? განა საეჭვოა, რომ ამ შემთხვევაში ის კვლავ სახიფათო გახდება როგორც ოდესმე?

ეს კითხვა მუდამ თვალწინ უდგათ, ეჭვს გარეშე, თურქეთისა და ირანის სახელმწიფო მოღვაწეთ და ზომებსაც იღებენ ქვეყნის დასაცველად. ამ ზომების წყალობით რუსეთის გავლენა ძალზე დაეცა ანკარასა და თეირანში, და სამაგიეროდ ინგლისის გავლენა იზრდება იქ. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ საფრანგეთმა მეგობრობის პაქტი დასდო თურქეთთან. მაგრამ უკანასკნელად ორი სხვა დიდი მეტოქე გაჩნდა იქვე, გერმანიისა და იტალიის სახით...

განზრახვა არ გვაქვს, რა თქმა უნდა, ამ კითხვის განხილვაში შევიდეთ, ჩვენმა ისტორიულმა მეზობლებმა უკეთ იციან, ვის როგორ უნდა მოეპყრან, ვინ იგულონ მეგობრად თუ მტრად. მხოლოდ ეს ვერ დაგვიშლის, ერთი რამ სრულიად გარკვევითა ვსთქვათ: ის დიდი სახელმწიფო თუ სახელმწიფონი, ვინც თურქეთსა და ირანს ზურგს უმაგრებს, კავკასიის განთავისუფლების საქმეშიც გადამწყვეტ როლს ითამაშებს. მაშასადამე, არავის უნდა გაუკვირდეს, რატომ ჩამოვაგდეთ ჩვენ ამ საგანზე ლაპარაკი. თურქეთისა და ირანის საზღვრების უზრუნველყოფა ჩრდილოეთით თავისუფალ კავკასიაში ჰპოვებს თავის რეალიზაციას, ხოლო ის ძალები, ვინც ამას ხელს შეუწყობენ, უთუოდ დაინტერესებული იქნებიან, ეკონომიურადაც სწორედ იქვე, კავკასიაში, იმუშაონ, ადგილობრივი ოთხი რესპუბლიკის სუვერენობის შეუბღალავად.

ამრიგად, ამ სამი ქვეყნის, თურქეთის, ირანის და კავკასიის, საარსებო ინტერესები ერთმანეთს ხვდებიან, ეთანხმებიან და თვითეული მათგანი, უნდა ვიფიქროთ, მათი მტკიცე დამცველად გამოვა მოსალოდნელ საერთაშორისო გართულების დროს. ჩვენ ისიც შეგვიძლია დავსძინოთ, რომ, როცა ჩვენი მეზობლები საადაბადის პაქტსა სდებდნენ ერაყსა და ავღანისტანთან, კავკასიასაც მასზე უნდა მოეწერა ხელი, იმ დროს ის თავისუფალი რომ ყოფილიყო.

როცა ამ საგანზე ვბაასობთ, ჩვენ უნებლიედ გვაგონდება პოლიგლოტ «კავკაზი»-ს კამპანია იმის გამო, ვითომ ჩვენ, ქართველები, მებრძოლნი რუსეთისაგან განთავისუფლებისთვის, თურქეთის დღევანდელი საზღვრების გადაწევას მოვითხოვდეთ, ან კიდევ ვითომ აზერბაიჯანელნი ირანის საზღვრებში იჭრებოდნენ! ჩვენ არა გვგონია, რომ ასეთმა ბოროტმა ცილისწამებამ რამე ნიადაგი ჰპოვა ანკარასა და თეირანში, ვფიქრობთ. პირიქით, თვით ცილისმწამებელთ გაუტეხა სახელი. ჩვენმა ისტორიულმა მეზობლებმა უკეთ იციან კავკასიის ერთა სულისკვეთება, რომელნიც თავდადებულად იბრძვიან რუსეთის ბატონობის წინაამდეგ თავის დამოუკიდებლობის აღსადგენად არსებულ საზღვრებში,—და ამ დროს მათ მიმართ ანტითურქულ და ანტიირანულ ბრალდების წამოყენება პირდაპირ დანაშაულია.

კავკასიის კონფედერაციის საბჭოს და მის პრეზიდიუმს მართებთ ენერგიული ზომების მიღება მსგავსი დაუშვებელი ცილისწამების ასალაგმავად. მაგრამ მათი როლი მარტო ამით როდი განისაზღვრება. საჭიროა ენერგიული დადებითი მუშაობა, რათა ყველა ძალები, ვინც პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაინტერესებულია კავკასიის სვე ბედით, სავსებით გარკვეული იყვნენ იქაურ ერთა მისწრაფებაში, მათი პოლიტიკურ და ეკონომიურ შესაძლებლობაში, განსაკუთრებით მათი ერთსულოვან სურვილში, მხარდამხარ და ლოიალურად ითანამშრომლონ სამხრეთ მეზობლებთან ყველასი და თვითეულის საკეთილდღეოდ.

ჩვენ ვათავებთ იმით, რომ ერთხელ კიდევ განვაცხადოთ: კავკასიის ამოცანა ორგანულად ჩაქსოვილია მის მეზობელთა და სხვა დიდ სახელმწიფოთა საერთაშორისო პოლიტიკაში, მას სწავლობენ, თვალყურს ადევნებენ და ხელსაყრელ დროს კიდეც დასმენ. საფიქრებელი, მაშასადამე, ის კი არ არის, ვითომ კავკასია ვისმე დაავიწყდება. არამედ ის, რომ მისი ბედი თვით კავკასიელების ზურგს უკან არ გადაწყდეს, მათი ერთა საზიანოდ. რომ ეს უბედურება არ დაგვატყდეს თავზე, საჭიროა კავკასიის ერთა სოლიდარობა, დიდი პოლიტიკური სიფხიზლე, დაუღალავი აქტივობა, ნამდვილი პატრიოტული ალტყინება.

---

## ევროპა დიდი ომის შემდეგ

### III.

ერთა ლიგის შორეულ აღმოსავლეთში უშედეგო ჩარევამ, მისი პრესტიჟი საკმაოდ გაბზარა.

1933 წელს იაპონია ერთა ლიგიდანაც გავიდა. იაპონიის შორეულ აღმოსავლეთში გამარჯვებამ, ერთა ლიგის პრესტიჟის დაცემამ, საფრანგეთ-რუსეთის სამოქალაქო დაქორწინებამ, დიდ ომში დამარცხებული გერმანია ვერსალის ხელშეკრულების და ერთა ლიგის წინაამდეგ აამოქმედა. ვერსალის ხელშეკრულების და ლიგის წინაამდეგ მისი უკმაყოფილება თანდათან გაიზარდა. უკმაყოფილების გაღრმავებას, ერთის მხრივ, ვერსალის ხელშეკრულებით უკმაყოფილო იტალია, და მეორეს მხრივ, რუსეთ საფრანგეთის დაახლოვებით დაშინებული ინგლისი, აძლიერებდენ. ევროპიელთა ორ ბანაკად დაყოფა რომ ფაქტად არ ქცეულიყო, დიდ სახელმწიფოებმა ოთხთა პაქტის იდეა წამოაყენეს. პაქტის თანახმად ერთგვარი დირექტორია არსდებოდა, რომელიც ყველა საერთაშორისო საკითხებს თვით უხელმძღვანელებდა.

პაქტი უდღეური გამოდგა. მას საფრანგეთის მოკავშირენი ისე მძლავრად აუჯანყდა, რომ დიდი სახელმწიფოებს პაქტის რატიფიკაცია დაავიწყა.

ხოლო ამ უდღეურ პაქტმა საფრანგეთს დიდი ზიანი მოუტანა. პაქტის დადება საფრანგეთის მოკავშირე პოლონეთის ნებაყოფლობის გარეშე მოხდა. ამ გარემოებამ პოლონეთს საფრანგეთზე გული გაუტეხა. ის საფრანგეთს სანახევროდ ჩამოშორდა და გერმანიას დაუახლოვდა. 24 იანვარს 1934 წელს ორ მეზობელ სახელმწიფომ სამეგობრო დეკლარაციას ხელი მოაწერა. ოთხთა პაქტმა, არა მარტო პოლონეთს პირი გერმანიისკენ აქნევინა, საფრანგეთის სხვა მოკავშირე ერებშიც დიდი არევ-დარევა შეიტანა, განსაკუთრებით უკმაყოფილო დარჩნენ რუმინია და იუგოსლავია, რადგან ამ პაქტის რეალიზაცია რომ მომხდარიყო, ორივე სახელმწიფო ღვთის ანაბარა დარჩებოდა. ოთხთა პაქტის იდეის ჩასახვის დროდან, ამ სახელმწიფოებში საფრანგეთის საწინაამდეგო სულიერი გადატეხა მოხდა, თვითეული მათგანი ახალ მეგობართა ძებნას შეუდგა და ხელსაყრელ მომენტს უცდიდა, ახალ ორიენტაციის გზას დადგომოდა.

ევროპის ეს არევ-დარევა გერმანიამ მეტად მოხერხებულად გამოიყენა; ისიც იაპონიის მაგალითს გაჰყვა, ერთა ლიგას ჩამოშორდა და მის მიერ დაკისრებულ ვალდებულებებს ხაზი გადაუსვა.

იაპონია-გერმანიის ერთა ლიგიდან გასვლამ ამ უკანასკნელის ძალა და პრესტიჟი კიდევ უფრო შეამცირა.

პრესტიჟის აღსადგენად და ძალის შესამატებლად, ერთა ლიგამ რუსეთი მიიპატიჟა; როგორც მოსალოდნელი იყო, ამ უკანასკნელმა ერთა ლიგისადმი ძველი დამოკიდებულება დაივიწყა და არხეინად ერთა ლიგის სავარძელს მოექცა. მადლობის ნიშნად მას ერთა ლიგაში მთელი რიგი საპატიო ადგილი მიეჩინა.

მოხდა ის, რაც წინადაც მომხდარა. აფორიაქებული ევროპა წესრიგის ასაწყობად, რუსეთს ევროპაში შემოთესავდა. ყოველი მისი შემოსვლით ევროპა უფრო და უფრო ირღვეოდა. დათესილ შურს ახალი გესლი ემატებოდა, გათიშვის გზაზე დამდგარი სახელმწიფონი საბოლოოდ ითიშებოდენ და მთელს ევროპაში ხმალი საომრად ილესებოდა.

მოსკოვის ევროპის კონცერტში მოქცევამ, ბალტიის ზღვის ნაპირებიდან მოკიდებული შავ ზღვამდე, მოსკოვის ყველა მეზობელი ერები გაძლიერებულ შეიარაღების გზაზე დააყენა. საერთაშორისო კრიზისიც გაღრმავდა. განსაკუთრებით საფრანგეთ-გერმანიის დამოკიდებულება გამწვავდა.

გერმანიამ ერთა ლიგიდან გასვლით ბევრი მასზე დაკისრებული ვალდებულებანი თავიდან მოიშორა და ამ რიგად მოქმედების შედარებითი თავისუფლება მოიპოვა. მოქმედების ცენტრი გერმანიამ ცენტრალურ ევროპაში გადაიტანა. ცენტრალურ ევროპაში ერთ დროს მისკენ ავსტრიას ჰქონდა ხელები გაშვერილი და გერმანიასთან შესადუღებლად იყო გამზადებული, ხოლო მისი სურვილები სენ-ჟერმენ-ვერსალის მუხლებმა ჩაჰკლა. ერთა ლიგას ჩამოშორებულმა გერმანიამ, უწი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარეს ყოვლისა ავსტრიის კარებს მიუკაკუნა. ამ კარებს ვერ შეაღებო—იტალიამ უპასუხა. ერთ დროს იტალია ვერსალის ხელშეკრულებით თვით იყო უკმაყოფილო, საფრანგეთ-ინგლისის წინააღმდეგ მუშაობას თვითონ ეწეოდა, გერმანიის მოთხოვნილებებს მხარს უჭერდა და საფრანგეთ-ინგლისის წინაამდეგ აქეზებდა. დროთა ვითარებაში იტალია შინ გამაგრდა, გარეთ პრესტიჟი აუმაღლდა. ევროპის ცხოვრებაში ერთი მთავარი ფაქტორთაგანი შეიქნა. გავლენის გასაძლიერებლად. პრესტიჟის უფრო მაღლა ასაწევად ცენტრალურ ევროპაში ამუშავდა და ევროპის ამ კუთხეში გავლენა მოიპოვა. ცხადია გერმანიის გავლენის გაძლიერებას ცენტრალურ ევროპაში ადვილად ვერ დასთმობდა; და რომ გერმანიამ ავსტრიის კარებს გასაღებად მიუკაკუნა, იტალია გერმანიას გადაუდგა. საფრანგეთ-ინგლისს გვერდში ამოუდგა. ავსტრიის დამოუკიდებლობის დაცვა უმთავრესად თვითონ იკისრა.

გერმანია დროებით ცენტრალურ ევროპას მოშორდა და სამოქმედო ასპარეზად აღმოსავლეთი ევროპა გაიხადა. აქ მისი გავლენის გავრცელებას საფრანგეთი და რუსეთი წინ აღუდგა. საფრანგეთმა აღმოსავლეთ ევროპაში გერმანიის აქტივობის შესანელებლად, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული, მოსკოვის რჩევით და გავლენით აღმოსავლეთ ევროპის ლოკარნოს პაქტის იდეა წამოაგორა. პაქტის მთავარი მიზანი იყო, რუსეთი გერმანიის მომავალი საშიშროებიდან გადაერჩინა. ამ პაქტის იდეას გერმანია-პოლონეთი წინააღუდგენ და პაქტის იდეა ჩასამარდა.

ვნახეთ, რომ ერთა ლიგას ჩამოშორებული გერმანია, ცენტრალურ ევროპისკენ გავლენის მოსაპოვებლად გაქანდა, სადაც საფრანგეთი-ინგლისი-იტალია გადაეღობა; გავლენის გასაძლიერებლად აღმოსავლეთ ევროპას მიადგა, აქ კი საფრანგეთ-რუსეთი წინ დახვდა, და ასე, გერმანიის ერთა ლიგიდან ჩამოშორებამ, მის გაქანებებს გასავალი ვერ მისცა, ვერც ცენტრალურ და ვერც აღმოსავლეთ ევროპაში ფეხი ვერ მოიკიდა.

16 მარტს 1935 წელს გერმანიამ ვერსალის ხელშეკრულება უარჰყო, საყოველთაო სამხედრო ბეგარა შემოიღო და განსაკუთრებული სისწრაფით იწყო შეიარაღება და ომისთვის მზადება.

ამრიგად თუთხმეტიოდე წლის წინედ, ვერსალის სასახლეში დიდის ხელოვნებით აქსოვილი სისტემების იმ მუხლებს, რომლებშიდაც გერმანიის ვალდებულებანი იყო ჩაქსოვილი და ამ სისტემების მუხლებთან ერთად, მათ დამატებას და გაგძელებას ლოკარნოს ხელშეკრულებას, ბოლო მოეღო.

ი. სალაყაია.

---

## ეროვნული ფორმაცია ისტორიის გასწვრივ

ცხოვრება სკოლაა. ისტორია მასწავლებელი. ვინც ისტორიას იცნობს, თვალხილულია, ცხოვრების ლაბირინტში იოლად ერკვევა. ისტორია გვასწავლის, კაცობრიობა ტანჯვით იშვა და ტანჯვითვე იკავავს გზას. ხშირად მას ერთი ნაბიჯი რომ წინ გადაუდგამს, ორით უკან დაუხევია. მაგრამ საერთო, საკაცობრიო პროგრესი მაინც წინ მიიმართება. უნივერსალურ ღირებულებათა ჯამი იზრდება, საკაცობრიო სახე ყალიბდება, მისი შინაბუნება ფაქიზდება. საკაცობრიო წარმატება ეროვნებათა წარმატებაა, ისე როგორც ეროვნებათა წარმატება საკაცობრიო წარმატებაა. ეროვნული ნაკადი საკაცობრიო ოკეანეს ავსებს, საკაცობრიო საუნჯე ეროვნებათა დოვლათს აპკურებს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ თუ საკაცობრიო ოჯახი წარმატებაშია, უეჭველად ყოველი მისი წევრი, ცალკე აღებული ერი, ბედნიერებას და წარმატებას განიცდის. ხშირია მოვლენა, რომ ერები იტანჯებიან, ეცემიან ბრძოლის გზაზე და ნადგურდებიან, როდესაც საერთო საკაცობრიო ოჯახი ბედნიერია. არსებობისთვის ბრძოლა დაუნდობელია, ის სწარმოებს ყოველი მიმართულებით და ყოველივე სახით. რაც უფრო გამოკვეთილია ერი, მით უფრო მეტი შანსი აქვს მას გამარჯვების და წარმატების, რადგან მისი ბრძოლა უფრო აქტიურია, მთლიანი და მიზანშეწონილია.

ერებს დღეს კარჩაკეტილი ცხოვრება არ შეუძლიათ. ისინი აუცილებლად შედიან საერთაშორისო ურთიერთობაში (ეკონომიურ, პოლიტიკურ, კულტურულ და სხვა). ამ ურთიერთობაში ჩაბმული ერები ბუნებრივად განიცდიან ურთიერთ გავლენას. აქ მოწინავე, ძლიერი ერი უფრო სუბიექტია, ვინემ ობიექტი, ე. ი. უფრო ახდენს გავლენას, ვინემ მას განიცდის. ჩამორჩენილი, სუსტი ერის მდგომარეობა კი სულ საწინაამდეგოა: ის გავლენას უფრო განიცდის, ვინემ თვით ახდენს. ამ გავლენის მინიმალიზაცია საერთაშორისო ჰიდილში ერს გაქრობას უქადის, რადგან ერი ერობს, რამდენად ის «მეობს». ამიტომ ყოველი ერი ცდილობს, საერთაშორისო ურთიერთობაში მაქსიმალური აქტივობა შეიტანოს პირდაპირი, თუ არაპირდაპირი გზით. პირდაპირი გზით: უშუალო აქტიური მონაწილეობით საერთაშორისო ხასიათის საქმეებში და არაპირდაპირი: თავისი კულტურული და მორალური დოვლათის სხივოსნობით, ეროვნულ ღირებულებათა გაუნივერსალებით, გაერთაშორისებით.

რა არის ერი? დღეს ერი მოდაშია, ის ყველას პირზე აკერია, მაგრამ ნათელი მისი წარმოდგენა კი ბევრს არა აქვს.

გერმანელებს ერი აქვთ წარმოდგენილი ფიზიკოფიზიოლოგიურად. ისინი წინ აყენებენ რასის იდეას. მაგრამ ეს იდეა ფიქციაა. კაცობრიობამ წმინდა რასა არ იცის. ყველა თანამედროვე ერი მეტნაკლებად ეთნიურად შერეულია.

ფრანგების ეროვნული კონცეპცია ფსიქოლოგიურია. რენანმა ეს კონცეპცია ასე გამოხატა: «ერი

არის სული, პრინციპი სპირიტული... ერი, ისე როგორც ინდივიდუუმი, არის შედეგი ხანგრძლივი წარსულის შემოქმედებათა, მსხვერპლთა და თავდადებათა... საერთო სახელოვანი წარსული, საერთო ნებისყოფა აწმყოში, ერთად შესრულებული დიდი საქმეები და სურვილი კიდევ შესრულებისა,—აი ძირითადი პირობა ერის არსებობისა».

შვეიცარიის ეროვნული კონცეპცია პრაქტიკულია. სხვადასხვა სისხლის და ენაზე მოლაპარაკე ერი იქ ერთ შვეიცარელ ერად აცხადებს თავს პრაქტიკული მოსაზრებით. ერთად ყოფნა მათთვის ხელსაყრელია, როგორც საერთო სახელმწიფოებრივ, ისე ეთნიურ, კულტურული თვალსაზრისით.

ჩვენი აზრით, სრულყოფილი ერი ის არის, რომელშიდაც მაქსიმალურადაა მოცემული რასული სიწმიდე, ფსიქიურ-მორალური მთლიანობა და პრაქტიკული მიზანშეწონილება.

როგორი განმარტებაც არ უნდა მიეცეს ერს, ფაქტიური ვითარება უცვლელი რჩება. ერები არსებობენ. მათ შორის მწვავე ქიშპობაა, დროგამოშვებით გაამფთრებული ბრძოლებიც. მდგომარეობას ამძიმებს ის გარემოება, რომ «ეროვნული უფლების» საერთო, ყველასათვის სავალდებულო განსაზღვრა არ არსებობს. მას ერთი მნიშვნელობა აქვს საზღვარს აქედ და მეორე საზღვარს იქედ. ეს გასაგებია, რადგან «ეროვნულ უფლების» შეგრძნობა და შეცნობა ნაყოფია თვითეული ერის თავისებური საუკუნოვანი ცხოვრების და გამოცდილების.

საერთაშორისო ურთიერთობის აწყობა შესაძლებელია ორ პრინციპზე: წონასწორობის და ეროვნულის. ამ მხრივ მე-19 და მე-20 საუკუნეში ორი დატაა შესანიშნავი 1815 წელი—ვენის კონგრესი, ევროპის რეორგანიზაცია წონასწორობის პრინციპის მიხედვით, და 1919 წელი—ვერსალის ზავი, ევროპის გადამიჯვნა ეროვნული პრინციპის მიხედვით.

ვერც ვენამ და ვერც ვერსალმა ქვეყანაზედ მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება ვერ დაამყარა. ერები განაგრძობენ ურთიერთ შორის ბრძოლას. ეს ბრძოლა თანდათან მწვავდება. ის ხშირად ფორმას იცვლის, არსებითად კი იგივე რჩება დაუნდობელი, სასტიკი, ულმობელი.

ჩვენ შევეცდებით გავარკვიოთ ისტორიის სინათლეზე ეროვნული ფორმაცია, მისი ფსიქიური ნიუანსები და იდეოლოგიური მხარეები. შეიძლება ამან მოგვცეს გასაღები ბევრ იმ უკუღმართობათა, რომელთაც ჰქონდა და აქვს ადგილი ერთა ურთიერთობაში.

ა ნ ტ ი უ რ ი  ხ ა ნ ა.

ერებზე წინ სახელმწიფო იშვა. საერთო პრაქტიკულ მოთხოვნილებებმა წარმოშვა საერთო ტექნიკურ-ადმინისტრაციული აპარატი, რომელიც თანდათან ყალიბდება სახელმწიფოდ.

ანტიურმა ხანამ იცის ძლიერი სახელმწიფოები, მაგრამ არა ერები თანამედროვე გაგებით.

ეგვიპტეს ჰქონდა ინდივიდუალობა, ღრმა თავისებურება, ასიმილიაციის დიდი ძალა, მაგრამ არ ჰქონდა მორალური მთლიანობა, კოლექტიური შეგნება. მისი მთლიანობა იყო მხოლოდ გეოგრაფიული. როდესაც ის დაეცა, მის ნანგრევებზე დარჩა მასა მორჩილი, ფატალისტი.

ქალდეა და ასურეთი იყვნენ მეომარი, დამპყრობი ქვეყნები. იქ სამხედრო შეფები ყველაფერი იყვნენ, ხალხები არაფერი. ესენი იყვნენ უენო, უნებო, თავის თავის არ მცნობი. ამ ქვეყნებში ეროვნულ იდეის არსებობის წარმოდგენა შეუძლებელია.

სპარსეთი იყო ძლიერი სახელმწიფო. მას ჰქონდა მოქნილი, ელასტური ადმინისტრაცია, მაგრამ მისი მთლიანობა იყო მექანიური, დათუებული მხოლოდ სატრაპების ერთგულებით საერთო ხელისუფლებისადმი.

მრავალრიცხოვან ხალხებს, რომლებიც იქ ცხოვრობდენ, არ აერთებდათ არავითარი საერთო, კოლექტიური გრძნობა.

ანტიური საბერძნეთი შესდგებოდა მრავალ დამოუკიდებელ სიტელან, რომელთაც ჰქონდათ თავისებური წარსული და თავისებური ცივილიზაცია. ეს სიტეები ვმირულად იცავდენ საკუთარ დამოუკიდებლობას, მაგრამ არასოდეს ამაღლებულან თავის პარტიკულარიზმზე. ამ ქვეყანას, დაქუცმაცებულს ბუნების მიერ, არასოდეს შეუქნია ერთი სახელმწიფო და ის ხალხი, რომელიც კარგად გრძნობდა, რა უპირდაპირებდა მას არა ბერძნებს, არასოდეს შეერთებულა, რომ მიეღო საერთო ღონისძიება დიდი საგარეო საფრთხის წინაშე, როგორიც იყო სპარსელების, მაკედონლების და რომაელების. თვითეულ სიტეს ჰქონდა გამოკვეთილი საერთო ნებისყოფა, პატრიოტიზმი, ერთად სიცოცხლის და მოქმედების სურვილი. მავრამ ეს კოლექტიური სული სიტეს საზღვრებს არ სცილდებოდა და საერთო ენამ, რელიგიამ, რასამ ვერ ჩამოადუღა ერთი მთლიანი ბერძნული სული.

გოლეთიც საბერძნეთის მდგომარეობაში იყო, დაქუცმაცებული პატარ-პატარა ერთეულებად, რომლებსაც გამუდმებით ერთმანეთთან ბრძოლა ჰქონდათ. აქაც რაიონული პატრიოტიზმი იყო და არა საერთო სული.

იგივე ითქმის ესპანეთზე.

რომი გამოიყურება სხვანაირად. მან მოახდინა უნიფიკაცია ეთნიურად მონათესავე ელემენტების, გააფართოვა გეოგრაფიული ჩარჩოები სახელმწიფოსი და შექმნა ლათინური ერი, რომელიც თანდათან ითქვიფება იტალიურ ერში. როდესაც რომი ფლობდა ხმელთაშუა ზღვას, მან შექმნა ჰომოგენური ადმინისტრაცია. მის პროვინციებს აერთებდა ერთი სახელოვანი წარსული, ერთი დროშა, სიამაყე სამშობლოთი და მისდამი ერთგულება. მაგრამ orbis romanus იყო მეტად ფართო, რომ შესაძლებელი იყოს დაუშვათ, რომ რომის პატრიოტიზმი იყო ნამდვილი ეროვნული პატრიოტიზმი. რომის იმპერიის ერთიანობა იყო გარეგნული. ბერძნები, სპარსელები, გალები, ეგვიპტელები შედიოდენ რომის იმპერიაში, მაგრამ არასოდეს ყოფილან ნამდვილი რომაელები. როდესაც რომის იმპერია დაეცა, მან დასტოვა კარგი მოგონება, ადმინისტრაციული კადრების მშვენიერი ნიმუში, ხოლო არა საერთო სურვილი ძველი იმპერიის აღდგენისა.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომმა დაამყარა ხანგრძლივი შინა ზავი, გაიყვანა მშვენიერი გზები, გაადვილა და გაამრავლა კომუნიკაციები, გააჩაღა აღებმიცემობა ზღვით და ხმელეთით და ყველა ამით დიდად შეუწყო ხელი იმპერიის სხვადასხვა ფრაქციების ურთიერთ გაცნობას და მით მათ გათვითცნობიერებას. ამით რომმა შეჰქმნა ზოგი ელემენტი ევროპიელ ერთა მომავალი ფორმაციის.

რომის იმპერიის დანაწილებიდან ჩნდება პირველი ჩანასახნი თანამედროვე ერთა. რასაკვირველია, მათი ფორმაციის და კრისტალიზაციის პროცესი მტკივნეულია, რთულია, ცვალებადია, მაგრამ ამიერიდან ეროვნულ თავისებურობის და თვითშეგნების გზა გაკაფულია.

იწყება ახალი ხანა სახელმწიფოს და კაცობრიობის სტრუქტურისა. მაგრამ ამაზედ შემდეგ.

ილია ნუცუბიძე.

## გერმანია და პრომეთეს იდეა

ჩვენმა პოლონელმა მეგობარმა ვლადიმერ ბონჩკოვსკიმ, პოლონელ პრომეთეელთა ჟურ. «ვსხოდ» ის რედაქტორ გამომცემელმა, მოათავსა ამ ჟურნალში (იხ. № 29) ვრცელი წერილი პოლონურ და გერმანულ ენაზე სათაურით: «გერმანიის სარუსეთო პოლიტიკის მიმოხილვა». იგივე წერილი გამოაქვეყნა რუსულ ენაზე ჟურნალ «სევერნი კავკაზ»-მა (№ 53-54). მიმოხილვის ძირითადი საკითხია პრომეთეელთა იდეა: როგორ უყურებს გერმანია მოსკოვის მიერ დამონებულ არარუს ერთა გათავისუფლების საკითხს? ის წარმოადგენს ისტორიულ ნარკვევს.

წერილის დასაწყისში ავტორი აღნიშნავს, რომ რუსეთის იმპერიის ნაციონალურ სახელმწიფოებად დაშლის იდეა თავიდანვე არ იყო გერმანიაში პოპულიარული, და ჩამოთვლის ამ განწყობილების ისტორიულ მიზეზებს: მე-19 საუკუნემდის საერთო საზღვრის და საკონფლიქტო წერტილების უქონლობას გერმანიასა და რუსეთს შორის, გერმანიის ტრადიციულ შიშს «კოალიციის აჩრდილის» წინაშე და მის რუსეთთან დამეგობრების ცდებს, ზოგიერთ რომანტიულ სულიერ ნათესაობის მომენტს რუსეთსა და პრუსიას შორის, რუსული და პრუსიული წრეების (პრუსიელი ლეიტენანტის და რუსი გვარდიელის, პრუსიელი ბარონის და რუსი პომეშჩიკის) დაახლოებას ბალტიის ქვეყნებში და პეტერბურგში, ისტორიულ გადმოცემებს შესახებ გერმანელთა როლისა რუსეთის სახელმწიფოს წარმოშობაში (ვარიაგები კიევში, გერმანული «სლობოდები» მოსკოვთან) და სხვ. პოლონეთის განაწილება მე-18 საუკუნის ბოლოს და რუსეთ-გერმანიის დამეზობლება ვერ ცვლის მათ დამოკიდებულებას, ვინაიდან «პოლონეთის კითხვა» მუდმივ აერთიანებს მათ. ფართე კოლონიზაციის და ეკონომიური საქმიანობის შესაძლებლობა გერმანელებისთვის რუსეთში, ბერლინის და პეტერბურგის სასახლეთა დანათესავება, გერმანელ მმართველ-მოხელეთა გამრავლება რუსეთში და სხვ. აძლიერებენ ტრადიციულ მეგობრობას. 1914 წელი მხოლოდ დროებით სცვლის ამ მდგომარეობას. ომი რუსეთსა და გერმანიას შორის იყო გამოწვეული არა იმდენად რუსეთ-გერმანიის წინაამდეგობით, რამდენად რუსეთსა და ავსტრია-უნგრეთს შორის არსებული შუღლით. ომის შემდეგ თანაბრად დამარცხებულნი და აღმდგარ პოლონეთის მიმართ დაპირდაპირებულნი, რუსეთი და გერმანია კვლავ მალე უმეგობრდებიან ერთმანეთს რაპალოში. მაგრამ სწორედ ამ დროს მოულოდნელად ჩნდება კონფლიქტის მიზეზი. რუსეთი სწყდება ევროპის კულტურას. მას შორდება ბალტიკა. პეტერბურგიც ძირს ეშვება. რუსული კომუნიზმი, მსოფლიო მეთაურობის პრეტენზიით შეპყრობილი, იჭრება გერმანიაში და უღრღნის მას გულს, რათა მოსკოვმა ამ გზით შესძლოს გერმანიის დამონება, რაც მან ომის გზით ვერ მოახერხა. ხუთწლედის და აუტარკიის გზაზე შემდგარი რუსეთი კარგავს გერმანიისთვის ეკონომიურად საექსპლოატაციო სარბიელის მნიშვნელობას. ამ კონფლიქტის გაღრმავებასთან ერთად ძლიერდება და იმარჯვებს გერმანიაში ნაციონალ სოციალიზმი.

ნაციონალსოციალიზმი ებრძვის კომუნიზმს და ამით თვით კომუნიზმის ბუდეს—მოსკოვს. ის პრინციპიალურად მომხრეა ერთა თავისუფლების, მაგრამ გარდა ამ ფაქტებისა ბონჩკოვსკი ხედავს ნაციონალსოციალისტური გერმანიის პოლიტიკაში უკვე თავისთავად ანტიმოსკოვიტურ მომენტებსაც. ის აღიარებს, რომ ბერლინი თანდათან ემხრობა მოსკოვის მიერ დაჩაგრულ ერთა გათავისუფლებას და საბჭოთა კავშირის დაშლას, მოკლედ პრომეთეულ იდეას. ამას ავტორი ხსნის შემდეგი მიზეზებით:

1. დიდი გერმანია, რომელშიაც შედიან ავსტრია და სუდეტების ქვეყანა, მემკვიდრეობად ღებულობს ავსტრია-უნგრეთის ანტირუსულ პოზიციას, მით უმეტეს, რომ საკითხი გერმანიის ეკონომიური ექსპანსიისა სამხრეთ-აღმოსავლეთით დღის წესრიგში დგება.

2. შიში, რომ მოსკოვის სახელმწიფო, რომელსაც 80 წელში 350 მილიონი მცხოვრები ეყოლება, გერმანიას მესამე ხარისხოვან სახელმწიფოდ გახდის და მისთვის პირდაპირადაც საშიში იქნება, განსაკუთრებით როგორც სხვა რომელიმე მოწინაამდეგის (მაგ. საფრანგეთის) მოკავშირე.

კათოლიკურ სამხრეთის შვილი ადოლფ ჰიტლერი ებრძვის ძველ პრუსიულ ელემენტებს, რომლებიც რუსეთთან მეგობრობის ტრადიციული მატარებლები არიან.

სცენაზედ გამოდიან მოსკოვის იმპერიალიზმის მოწინაამდეგე მწერლები: არა მარტო ძველი პიონერები პრომეთეს იდეისა, როგორიც არის მაგალითად პროფესორი პაულ როორბახი, არამედ ახალი ძალებიც—თვით ჰიტლერის თანამშრომლები, როგორიც არიან ალფრედ როზენბერგი (იხ. მისი წიგნი: «შავი ჭირი რუსეთში») და გეორგ ლაიბბრანტი (იხ. «მოსკოვის შემოტევა ევროპაზედ»). როგორც ჩანს, ნაციონალსოციალიზმმა თავისი წინანდელი, თითქმის ცალმხრივი, ანტიკომუნისტური და ანტიებრაული ხაზი შეავსო ანტიმოსკოვიტური პროგრამით

—რუსეთის იმპერიალიზმთან ბრძოლით, პრომეთეს იდეით.

ამ ანალიზის შემდეგ ავტორი ეხება საკითხს, თუ ვინ წარმოადგენენ გერმანიაში პრომეთეს იდეის მოწინააღმდეგეებს, რუსოფილურ ელემენტებს ანუ რუსული იმპერიალიზმის—«მთლიანი და განუყოფელი რუსეთის»—აპოლოგეტებს, და იძლევა გადაჭრილ პასუხს: რუსეთის გერმანელნი, რომელნიც დღეს გერმანიაში ცხოვრობენ, აქ «რუსეთის სპეციალისტებად» ითვლებიან და სათანადო დაწესებულებებში არიან მოკალათებულნიო. რატომ?

ესენი, ნაწილობრივ გარუსებულნი, მრავალ პრივილეგიას სარგებლობდენ რუსეთის იმპერიის დიდ სივრცეზე. იქ ისინი—განსაკუთრებით მოხელენი, ვაჭარნი, ტექნიკოსნი და სხვადასხვა თავისუფალ პროფესიათა მატარებელნი—მსუბუქი შრომით იოლად გადიოდენ, მათ «ფართო» ცხოვრების და ნებივრობის საშვალება ჰქონდათ. ამიტომ ისინი თავიანთ მეორე სამშობლოში, რომლის ენა მათ შეისწავლეს, ხშირად თვით რუსებზე უფრო რუსობდენ, რომ თავიანთი კეთილსაიმედობაც დაემტკიცებინათ და პრივილეგიები განემტკიცებინათ. დღეს გერმანიაში დაბრუნებულთ, მათ ასეთი ნებივრობის საშვალება არა აქვთ. განსაკუთრებით ნაციონალსოციალიზმის სასტიკი რეჟიმი ყველასგან ბეჯით შრომას და მომჭირნე ცხოვრებას მოითხოვს. ამიტომ ისინი აქ ოპოზიციონურად განწყობილნიც არიან—მათ ყოველგვარი ხილული თუ ფარული ოპოზიციაც აკრული აქვთ—და ფართე «მატუშკა როსსია»-ში დაბრუნებაზე ოცნებობენ. კიდევ მეტი. ამათი მეოხებით მესამე რაიხში რუს ემიგრანტებსაც კარები გახსნილი აქვთ,—მათ შორის ისეთებსაც კი, რომელნიც მილიუკოვისებურ ფრან-მასონებს და თითქმის ჩეკის აგენტებსაც წარმოადგენენო...

ეს სასტიკი განაჩენი ბონჩკოვსკის, რა თქმა უნდა, ყველა რუსეთის გერმანელებზე არ გამოაქვს. ის ამბობს. რომ არიან ქების ღირსი გამონაკლისები—როგორც უკვე დასახელებული როზენბერგი, ლაიბ ბრანდეტი და რორბახი—რომელნიც პრომეთეს იდეას ემხრობიან და მისთვის გაბედულადაც იბრძვიან. მაგრამ ესენი რუსეთის გერმანელებში სწორედ რომ გამონაკლისებს წარმოადგენენო.

დასასრულ ავტორი გამოთქვამს რწმენას, რომ პრომეთეს იდეის გზაზე უკვე შემდგარი გერმანია ყოველგვარ დაბრკოლებას გადალახავს და ამ გზაზე გადაჭრით გამაგრდება. ის თავის მხრივაც მოუწოდებს გერმანიას საამისოდ და არწმუნებს მას. რომ ამ გზაზედ ეროვნული თავისუფლებისთვის ბრძოლაში გამობრძმედილი პოლონეთი—ადამ ჩარტორიისკის და იოსებ პილსუდსკის სამშობლო—მისი უერთგულესი მეგობარი და მოკავშირე იქნება.

ვლად. ბონჩკოვსკის ამ გაბედულმა და სწორედ მომენტის შესაფერმა გამოსვლამ გერმანიაში უდიდესი შთაბეჭდილება დასტოვა. მხოლოდ, თავისთავად ცხადია, რუსეთის გერმანელები დაგვირჩენ უკმაყოფილონი. მაგრამ ამათაც არჩიეს, თავიანთი უკმაყოფილება ძლიერ ფრთხილად და თავაზიანად გამოეთქვათ. მათ ცენტრალურ ორგანოში—«დოიტშე პოსტ აუს დემ ოსტენ»-ში (იხ. იანვრის ნუმერი)—ამ ჟურნალის გამომცემელი იოზეფ გაიგერი აძლევს ბონჩკოვსკის ვრცელ პასუხს. გაიგერი მოითხოვს, რომ გარჩეულ იქნეს ერთმანეთში ორი მცნება: რუსეთის გერმანელები და გარუსებული გერმანელები. ამ უკანასკნელების შესახებ ის ბონჩკოვსკის მსჯავრს თითქმის სრულიად სამართლიანად სთვლის, მხოლოდ ამტკიცებს, რომ ესენი რუსეთში მცხოვრები თუ ნაცხოვრები გერმანელების სულ მცირედ პროცენტს წარმოადგენენ, რომელნიც როგორც გერმანელი ერის ისე რუსეთის გერმანელთა სხეულიდან მოწყვეტილნი არიან, მაშინ როდესაც რუსეთის გერმანელების ძირითადი სხეული, როგორც საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ისე გერმანიაში, გერმანული დარჩა. ესენი კი—გვარწმუნებს ი. გაიგერი—არიან არა მარტო რუსის ერის, არამედ საბჭოთა კავშირის ყველა სხვა ერების მეგობრებიც; ესენი ყველა ერის თავისუფლებას ეტრფიან. ესენი—რამდენადაც გერმანიაში ცხოვრობენ—სწორედ ნაციონალსოციალისტური რეჟიმის ქვეშ თავს საუცხოვოდ გრძნობენ და მის ნაციონალურ იდეოლოგიას აღფრთოვანებით იზიარებენ. როზენბერგი, ლაიბბრანდტი და რორბახი არიან არა გამონაკლისები ამათგან, არამედ პირიქით მათი მენტალობის სწორედ ტიპიური გამომხატველნიო.

მოკლედ, ძირითადი განსხვავება ამ ორ შეფასებას შორის არის რაოდენობითი ხასიათის. ბონჩკოვსკი ფიქრობს, რომ რუსეთის გერმანელთა დიდი უმრავლესობა განწყობილია «მთლიანი რუსეთისთვის» და მხოლოდ მცირედი ნაწილია ერთა თავისუფლების მომხრე, გაიგერი კიდევ სრულიად წინაუკმოდ. ვინ არის მართალი?

ჩვენი შეფასებით სიმართლე გაცილებით უფრო ახლოა ბონჩკოვკსკისთან, ვინემ გაიგერთან. ჩვენ არ გვინდა, გავიმეოროთ პოლონელი მეგობრის ჰიპერბოლური გამოთქმა «მასონებზე» და «ჩეკის აგენტებზე». ასეთებს დღევანდელ გერმანიაში გასავალი არა აქვთ და მათ არც რუსეთის გერმანელთა წრეებთან შეიძლება ჰქონდეთ რაიმე მნიშვნელოვანი ადგილი. მაგრამ რუსოფილობა რომ ამათ უმრავლესობას კი ახასიათებს, ეს სამწუხაროდ უდავო ფაქტად უნდა ჩაითვალოს. აქ ბონჩკოვსკის მიერ ჩამოთვლილ მისეზებს გარდა მოქმედებს ის გარემოებაც, რომ რუსეთის გერმანელთა ინტელიგენცია, რომელიც, დიდ რუსეთში ეკონომიური საქმიანობით დაინტერესებული, მის «ფართე ბაზარს» სარგებლობს და რომელიც რუსული ენის შეთვისებითაც უკვე საკმაოდ გარუჯილად თვლის თავს, ადვილად ვერ ურიგდება ახალი, შედარებით პატარა ქვეყნების საზღვრებში მოქცევის აზრს და ახალი ენების შეთვისების ჯაფას. თან ბევრ მათგანს ზოგი «ინოროდცების» (მაგ., თათრების, რომელთა შორის გერმანელთა უდიდესი კოლონია—«გერმანელთა ვოლგის ავტონომიური რესპუბლიკა»—იმყოფება) სახელმწიფოში ყოფნის პერსპექტივაც ვერ იტაცებს. მაგრამ ჩვენ აქვე უნდა გავაკეთოთ ორი რეზერვი.

«სევერნი კავკაზი» ბონჩკოვსკის წერილს უკეთებს სწორ შენიშვნას, რომ «რუსეთის» გერმანელე-

ბიდან გამონაკლისს შეადგენენ კავკასიის გერმანელები, რომელნიც კავკასიის სახელმწიფოების ულოიალურესი მოქალაქეები იყვნენ. ეს განსაკუთრებით შეგვიძლია ვთქვათ ჩვენს, საქართველოს გერმანელებზე. ამათ შეიგნეს, რომ საქართველო (და კავკასია) სულ სხვა ქვეყანაა ვინემ რუსეთი. ამათ შესძლეს საქართველოს ბუნების, ქართველი ერის, მისი კულტურის და ბევრმა თვით მისი ენის შეყვარება. დაახლოებით ასევე ითქმის ალბად კავკასიის სხვა ქვეყნების გერმანელებზედაც.

ამას გარდა დღევანდელი ეროვნული გამოღვიძების პროცესი, რომელიც ყველა ერებს ედება და ეროვნული იდეოლოგია, რომელიც დღეს გერმანიაში განსაკუთრებით ცხოველ გამოხატულებას პოულობს, ედება რუსეთის გერმანელთა წრეებსაც და მის გამო მათში პრომეთეული იდეაც თანდათან ნიადაგს ჰპოულობს. ასე რომ მალე ის ამ ფრონტზედაც გაიმარჯვებს.

დიდი გერმანია დიდ პოლონეთთან ერთად მოსკოვის უღელს ქვეშ მკვნესარე ერებს ხელს უწვდის.

у.

## ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა!

ჩვენი ემიგრაცია აუცილებლად უნდა გამოეხმაუროს ორს ფრიად საყურადღებო მომართვას—ერთი ეკუთვნის ქართველთა საზოგადოების თავმჯდომარეს ბ ნ ვახ. ღამბაშიძეს, მეორე—ქ-ნ ნამ. გოგუაძისას. ორს, გარეგნულად თითქოს სრულიად განცალკევებულს საგანს შეეხებიან ეს მომართვანი, მაგრამ ერთიც და მეორეც ქართველ ემიგრაციის არსებითს საჭიროებას შეიცავს. პირველი მოგვიწოდებს ქართული სამკითხველოს დასაარსებლად პარიზში, მეორე საკუთარი სასაფლაოს მოსაწყობად აქ უცხოეთში გარდაცვალებულ ქართველებისათვის.

ბ. ვ. ღამბაშიძე თავის მოწოდებაში, რომელიც ცალ-ცალკე დაუგზავნა ყველა ემიგრანტს, სამართლიანად აღნიშნავს: «სხვა სიდუხჭირესთან ერთად ყველასათვის საგრძნობელ ნაკლად ჩასათვალია ისიც, რომ ამდენ ხანს ჩვენს ემიგრაციას პარიზში არ მოეპოვება ქართული სამკითხველო, რომ შეიძლებოდეს ხანდახან მაინც მშობლიური ქვეყნის ძველი და ახალი ლიტერატურული ნაწარმოების წაკითხვა. საუკუნის მეხუთედი გადის და ეს ნაკლი ჯერეც შეუვსებელია, მიუხედავად იმისა, რომ აქ გადმოხვეწილი ქართველობა კულტურული განვითარებით და ეროვნული შეგნებით საკმაო მაღალ დონეზე დგას».

ჩვენს პატივცემულს თავმჯდომარეს განუზრახავს, ახლა მაინც მოაწყოს ქართული სამკითხველო და სთხოვს ყველას, შემოსწირონ თითო ოროლა ქართული წიგნი ან პერიოდული გამოცემა ან უცხო ენაზე დაბეჭდილი წიგნი საქართველოს შესახებ; ვისაც მთლად მოცემა არ შეუძლია წიგნის, დროებით მაინც დაგვითმოსო. ითხოვს აგრეთვე ქონებრივ დახმარებასაც, ვისაც რამდენი შეუძლია. სამკითხველო ცალკე ოთახში მოთავსებული ღია იქნება სადამობით და წიგნების და ჟურნალ-გაზეთების სარგებლობა შეიძლება იქვე და არა სახლში წაღებით...

ძნელად წარმოსადგენია, რომ ქართველი საზოგადოება არ გამოეხმაუროს ასეთს ყოვლად სიმპატიურს მოწოდებას. ქართული სამკითხველოს საჭიროება იმდენად აშკარა და უდავოა, რომ ამის დამტკიცების ყოველი ცდაც ზედმეტია. დიდმა ხანმა გაიარა, რაც სამშობლოდან წამოვედით. ყოველი ურთიერთობა თანდათან მინელდა, დღეს უბრალო მოკითხვის წერილის მიღებაც კი გაძნელებულია საქართველოდან. ასეთ პირობებში მხოლოდ ერთად ერთი საშუალებაა, რომ სავსებით არ მოვწყდეთ ჩვენს ეროვნებას—ეს ქართული წიგნი. ქართული გაზეთი, თუნდაც ძველის-ძველი, სურათები საქართველოს ადგილების, ქართველ მოღვაწეების, ჩვენი ქვეყნის რუკები და გეგმები. რომ ცოტათი მაინც, სულიერად, მოგონებებით და ოცნებით ვიგრძნოთ ჩვენი თავი სამშობლოსთან დაკავშირებულად და განუთვისებლად.

რამდენად შესუსტდებოდა ჩვენი ურთიერთ შორის დავა და უთანხმოება, რომ ჩვენ უფრო ხშირად და ხშირად ვიგონებდეთ საქართველოს, გვესმოდეს მისი ამბები, ცხოვლად წარმოვიდგენდეთ მის სახეებს! რამდენად უფრო ადვილად განხორციელდებოდა ქართველ ძალთა გაერთიანება, რომელიც ასე გვაწუხებს დღეს ყველას, რომ ჩვენ მოგვეპოვებოდეს ერთი ორი დაწესებულება, ერთი ორი შესაკრებელი ადგილი, სადაც ვიგრძნობდეთ ქართულს ატმოსფერას, სადაც გამოვესაუბრებოდეთ ერთიმეორეს საქართველოს ჭირ-ლხინის შესახებ!

არა ერთხელ გვითქვამს და ახლაც უნდა განვიმეოროთ: ეროვნება და მამულიშვილობა ყოვლის უწინარეს არის გრძნობების სფერო და არა თეორიული განსჯის საკითხი. გაშრება გრძნობები და გაჰქრება ეროვნული შეგნებაც და ვერავითარი მეცნიერულ-ფილოსოფიურ მტკიცებით მას ვერ აღადგენთ. ეროვნულ გრძნობებს სჭირია მუდმივი კვება და ერთი საუკეთესო მისი საკვებთაგანია ეროვნული მწერლობა, ისე როგორც მხატვრობა, მუსიკა. უნდა ვიზრუნოთ ამისთვის, დაუყონებლივ, ვიდრე გვიან არ იქნება, ვიდრე ეროვნულ განთვისების ძალას ჯერ კიდევ მაგრად ვერ გაუდგამს ფეხი ჩვენს შორის. ჩვენს პოლიტიკურს მუშაობას უნდა კვებავდეს და ამაგრებდეს მუდამ ჩვენი კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობა.

* *

ქართველ მიცვალებულების ბედი ჭეშმარიტად დამაფიქრებელია. ქართველ ემიგრანტს სიცოცხლეც მეტ წილად გამწარებული აქვს, მაგრამ გარდაცვალების შემდეგაც მის გვამს, მის ძვლებს განსვენება არ უწერია. ზოგი სადაა დასაფლავებული, ზოგი—სად. ზოგი ისეთს გადავარდნილ ადგილასაა დამარხული, რომ ნახვის მოსურნე ადვილად ვერ მიუდგება. ბევრს არავითარი ნიშანი და წარწერა არა აქვს. მომვლელ-პატრონიც ყველას არ მოეპოვება. არიან ისეთებიც, რომელთაც მიწის დაქირავების ვადა შეუსრულდათ და რომელნიც ამიტომ მიწიდან ამოღეს და მათი ძვლები სადღაც გადაყარეს; პატრონი

რომ გამოჩნდეს და ბევრიც რომ ეძიოს, ვერსად მიაკვლევს.

სატირალი და სამარცხვინო მდგომარეობაა, შეუფერებელი ღირსეული ერისა. ქ-ნი ნ. გოგუაძისა მთელი თავის ქალური გულმტკივნეულობით დასტირის ამ ჩვენს სიგლახეს და ემუდარება ქართველობას: «შევიძინოთ საკუთარი სასაფლაო, მოვაგროვოთ ჩვენი უპატრონო მიცვალებულები ერთად და მოუაროთ მშობლიური გრძნობით მათ საუკუნო განსასვენებელს».

შეუძლებელია ამას გაუჩუმდეთ. ნურავინ ინებებს იმის თქმას: ჩვენ მკვდრებისთვის არა გვცალია. მკვდრის პატივისცემა უკეთილშობილესი ღირსებაა ადამიანის და ერი, რომელიც თავის დაღუპულ წევრებისთვის არ ზრუნავს, მათ საფლავს ფეხით გასთელავს, განწირული ერია. არა, ქართველი ემიგრაცია ამ გზას ვერ გაჰყვება და თავის მიცვალებულებს მზრუნველობას არ მოაკლებს. ხოლო საჭიროა, ამ საქმეს ორგანიზაცია და წესი მიეცეს. რაც აქამდის გასვენებებზე ფული დაგვეხარჯა, ამითი ახლა საკუთარი სასაფლაო გვექნებოდა.

ახლა მაინც მივაქციოთ ამას ყურადღება. ვფიქრობ, რომ ეს დიდად სათნო და სამადლო საქმე უნდა თავს იდვან ჩვენმა ქალებმა. ისინი უნდა შეკავშირდენ ამ კეთილი მიზნისთვის, აირჩიონ ხელმძღვანელი ორგანო, მიმართონ ყველას მხურვალედ და დარწმუნებული ვარ, მათ ხმას გაიგონებენ.

ღმერთმა ინებოს ჩვენი მალე სამშობლოში დაბრუნება, მაგრამ ვისაც არ ეღირსა ეს დაბრუნება და აქ დაიღუპა, მათ ძვლებს ნუ დავტოვებთ აქეთ-იქით გადაპნეულად.

დეე, ესეთი მოწოდება ქართველი ქალებისა ქართული სასაფლავოს მოსაწყობად იყოს იმ დიდი მამულიშვილის წმ. ქეთევან დედოფლის სახელით, რომელიც ჩვენსავით გადმოხვეწილი იყო სამშობლოდან, და მოწამებრივი სიკვდილი მიიღო საქართველოსათვის.

ს. ფირცხალავა.

## ქართული ფილარმონიული წრის პირველი კონცერტი

უნდა აღვიაროთ გულახდილად ძლიერ სკეპტიკურად ვუყურებდით «ახალგაზდა» წრის განზრახვას. წინანდელი ყოვლად შეუფერებელ «საღამოებისა» და «გამოსვლების» დაშინებული ვფიქრობდით, რომ 28 იანვრის კონცერტიც ვერ დაგვაკმაყოფილებდა. საბედნიეროდ შევცდით: კონცერტი მშვენიერი იყო და ყოველს იმედს გადააჭარბა.

ახალგაზდობამ, რომელიც სათავეში ჩაუდგა ამ წრეს, ნათლად დაგვანახვა, რომ საჭიროა მხოლოდ მონდომება და სისტემატიური მუშაობა და მცირე ძალებითაც კი შეიძლება დიდი კულტურული საქმის გაკეთება, რომელიც ნამდვილ ქართულ სახეს აჩვენებს უცხოელებს და საამაყო პროპაგანდას გაგვიწევს. 28 იანვრის საღამო თავისი სტილით, თავიდან ბოლომდე ზომიერი გეგმით, გამოკვეთილი მადალი გემოვნებით სასიამოვნო სანახავი იყო არამც თუ უცხოელებისათვის, არამედ ჩვენთვისაც ემიგრანტებისათვისაც, რომელთაც ბევრი ქართული სამუსიკო საღამო გვინახავს სამშობლოში. რასაკვირველია, ნაკლი იყო, მაგრამ ნაკლი ნორჩი წრის შესრულებულ საღამოს კი არა, უძველეს საოპერო და საკონცერტო დასებს აქვთ ხოლმე და ჩვენ ამ ნაკლებს გაკვრით აღვნიშნავთ მხოლოდ იმიტომ, რომ მომავალში ამ კარგი ეროვნული საქმის ხელმძღვანელებმა თავიდან აიცდინონ და კიდევ უკეთესად წარმოსდგენ საზოგადოების წინაშე. უპირველესი ნაკლია, ჩვენი აზრით, სიმღერების შემთხვევითი არჩევა. არც «ვახტანგ მეფე», არც «შავი შაშვი», არც «ფაცხა» და არც «ღმერთო, ღმერთო» არ მოახდენს ამ შემადგენლობით ისეთ შთაბეჭდილებას, როგორსაც ქართული სიმღერები უნდა ახდენდეს. ამათთვის საჭიროა ძლიერი გუნდი, ძლიერ დახელოვნებული და მტკიცედ შეხმატკბილებული, გარდა ამისა აუცილებელია, რომ ლოტბარმაც მეტი ძალა და სიმკვეთრე გამოიჩინოს, თორემ ნიუანსები სულ იკარგება და მაგალითად «ღმერთო, ღმერთო»-ში, რომელიც ევროპიელისთვის უჩვეულო აკორდებით არის დაწერილი, დამსწრენი ვერ ერკვევიან: ეს მუსიკაა ასეთი დისონანსიანი, თუ გუნდმა არია ყველაფერი? «შავი შაშვი» კი ძველებური გურული სიმღერაა და განსვ. ფილიმონ ქორიძეს მისი მოღვაწეობის იმ ხანებში აქვს დაწერილი, როდესაც უცხო გავლენა დიდი იყო მასზე და ქართული ხასიათი ამიტომ ცოტათი დაეკარგა. «ფაცხა» მეტად მძიმედ იყო შესრულებული და მეტად ტლანქი და დაუსრულებელი სიმღერის შთაბეჭდილება დასტოვა. დანარჩენ სიმღერებს არა უშავდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ, რომ ნაკლებად იყო «ნუანსები» და საოცარი ინტერვალები, რაც ქართულ ხალხურ მუსიკას სულაც არ შეჰფერის, მაგალითად «პატარა კახურში».

ტემპი ქართული სიმღერებისა ცოტა შეგვიანებული იყო და ამან სიმღერებს «სიზანტის» ხასიათი მისცა. ქართული სიმღერები კი ისეთიც, როგორც «ზამთარი», «კახური», «ჭონა» და სხვა სიცოცხლით სავსენი არიან. დასავლეთ საქართველოს სიმღერები განირჩევიან სიმკვირცხლით, გუნდმა აუცილებლად უნდა იმღეროს უნოტებოდ, რადგან ნოტების ხელში ჭერა შთაბეჭდილებას ასუსტებს. გუნდი უნდა შეივსოს 4-5 კაცით (ქართველებით), რომ გაიწმინდოს იმ «აქცენტისაგან», რომელიც მას აქა იქ ეტყობა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მეზობლები და მეგობრები მეტად პირნათლად ასრულებდნენ თავის მოვალეობას. დასასრულ გაცილებით უკეთეს შთაბეჭდილებას დასტოვებს გუნდი, თუ წარსდგება საზოგადოების წინაშე ქართულ ეროვნულ ტანისამოსში.

მიუხედავად ამ მცირე ნაკლისა გუნდმა საერთოდ მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილება დასტოვა.

ბევრმა არ იცის, თუ რა დიდი ჯაფა და ენერგია დასჭირდათ მონაწილეთ და თავის ღარიბი ჯიბიდან ხარჯის გაწევაც, რომ შედარებით სულ მცირე დროში თორმეტი და ისიც ასეთი რთული სიმღერის მომზადება მოეხერხებიათ! ვუსურვებთ გულით და სულით ამ ახალგაზდობას, რომ ასე ბრწყინვალედ და-

წყებული საქმე გააფართოვოს და ბოლომდე კარგად მიიყვანოს. დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, დიდ ეროვნულ საქმეს გააკეთებენ. კარგი იქნებოდა გუნდი შეისწავლიდეს ნამდვილ ხალხურს სიმღერებს.

ვიმეორებთ გუნდმა მიუხედავად აღნიშნულ წვრილმანი ნაკლებისა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა უცხოელებზე და ქართველებზედაც. სოლისტებიდან უნდა აღვნიშნოთ ქ-ნი მარიამ კოსტი (ვაჩნაძისა), რომელმაც ქართული სიმღერებით მხურვალე ტაში გამოიწვია, და ბ-ნი გ. კობალაძე ძლიერ კარგი ბანით (მართალია ჯერ დაუმუშავებელით, მაგრამ თუ მუშაობას ხელს მოჰკიდებს, ძლიერ კარგი მომავალი აქვს); აგრეთვე ქ ნი მარიამ სალბერგ-ვაჩნაძე, რომელმაც პიანინოზე მშვენიერად შეასრულა «დაისის» უვერტიურა.

რაც შეეხება ცეკვას, უნდა აღვნიშნოთ, რომ ან საბლი ჩვენ წარმოდგენილი გვქონდა რაღაც ბალეტურ გადაკეთებად და სიამოვნებით დავინახეთ, რომ შესაძლებელი ყოფილა იმავე ქართული ცეკვის (რომელსაც რატომღაც ვუძახით «ლეკურს») სამ წყვილად შესრულება. მეტად მოხდენილი, ნაზი და ლამაზი ჯგუფი იყო სამი ლამაზი წყვილის ერთად გამოსვლა. ქ ნნი ჟორდანია, ხოჟოლავა და ციციშვილი, და ბ-ნნი ვედევანიშვილი, თაქთაქიშვილი და ხაბულიანი სასახელო მონაწილენი გამოდგენ ამ ქართული ქორეგოგრაფიის გამარჯვებისა. ასეთივე განსაცვიფრებელ მოცეკვავედ მოგვევლინა ბ. თემო თაქთაქიშვილი («კინტოური») და ბოლოს ქ ნი სალომე დადიანისა და თენგიზ დადეშქელიანის ცეკვა ხომ აპოთეოზად გადაიქცა. მთელი დარბაზი ოვაციებით მიეგება ყველას.

დიდი მადლობის ღირსნი არიან ამ კონცერტის მომწყობნი და მონაწილენი და აგრეთვე ბ ნნი მოსულიშვილი და პონომარენკო და ვიმედოვნებთ, რომ მომავალში კიდევ შესძლებენ ესენი სასახელო საღამოს მოწყობას.

ხოლო განსაკუთრებული ხაზგასმით უნდა აღინიშნოს 28 იანვრის ქართული საღამოს მოწყობაში ბ. სოსო გოგოლაშვილის როლი, რომელიც იყო საქმის ინიციატორი და მთავარი ხელმძღვანელი და რომლის მეყაითობამ და საგნის ღრმა სიყვარულმა უმთავრესად შეუწყო ხელი საღამოს წარმატებას და გამარჯვებას.

## ნინოობა ბერლინში

27 იანვარს ბერლინში, ცნობილ პირველხარისხოვან სასტუმრო «ადლონ»-ში ქართველთა კოლონიის ქალთა კომიტეტის ხელმძღვანელობით გამართულ იქნა ტრადიციული ქართული საღამო-ბალი «ნინოობა». ჩინებულად მორთულ დართულ დარბაზში, მშვენიერი მუსიკალური ორკესტრის სმენით, ცეკვით და მოლხენით დამსწრე მრავალრიცხოვანმა საზოგადოებამ დიდად ისიამოვნა. განსაკუთრებით ასიამოვნა სტუმრები ლეკურის ცეკვამ, რომელიც მშვენივრად შეასრულეს ქ-ნმა მზია პაპავამ და ბ-ნმა ნ. ნაკაშიძემ. საღამოს დაესწრენ გერმანიის ოფიციალურ უწყებათა და მმართველი პარტიის წარმომადგენელნიც. ზეიმმა გასტანა დილის 5 საათამდის. წმინდა შემოსავალი დარჩა 560 მარკამდის, რაიც მოხმარდება საქველმოქმედო მიზნებს.

დიდი მადლობის ღირსნი არიან საღამოს მომწყობნი, განსაკუთრებით ქ-ნნი პ. გეგელაშვილი, ნ. ყაზბეგი და ა. მკურნალი, აგრეთვე კოლონიის თავმჯდომარე ბ. კ. კიზირია

ამ საღამომ ხელახლა დაამტკიცა გერმანელი საზოგადოების დიდი ინტერესი და სიმპატია ქართველი საზოგადოების და ქართველი ერის მიმართ.

მაგრამ სამწუხაროდ საღამოს ჰქონდა ზოგი ნაკლიც, რაც ქართველურ-მეგობრული გულახდილობით უნდა აღვნიშნოთ, რათა მომავალში ასეთი ნაკლი თავიდან ავიცილოთ.

რაკი საღამოს ეწოდება ქართული საღამო დანაც წმიდა ნინოს დღეობა, მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს ნაწილობრივ მაინც ქართული ხასიათი და შინაარსი, ისე რომ ის გარკვევით განირჩეოდეს ჩვეულებრივი გერმანული საღამო-ბალებისაგან. ამ საღამოზედ კი ქართული მეტად ცოტა რამ იყო. გარდა ლეკურისა თითქმის ვერაფერი ეროვნული ვერ ვუჩვენეთ პატივცემულ სტუმრებს. თვით ადგილობრივი ქართველი საზოგადოების დიდი უმრავლესობაც აკლდა საღამოს, რადგან ის მისთვის ხელმისაწდომი არ იყო (მიუხედავათ იმისა, რომ შესვლა ქართველებისთვის უფასო იყო). ამავე მიზეზით მრავალი მეგობარიც როგორც თანამებრძოლ ერთა ემიგრაციიდან, ისე თვით გერმანელებიდანაც ვერ დავესწრო, და პრესაც სუსტად იყო წარმოდგენილი.

ეს ნაკლი მომავლისთვის აუცილებლად უნდა იქნას გამოსწორებული. ჩვენ სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ ბერლინის ქართველობა, მიუხედავად მცირერიცხოვნობისა, ამას შესძლებს.

ნ. ი.

## წერილი ამერიკიდან

უკრაინის საკითხი ბევრი ერისათვის მეტად საყურადღებო ხდება. ის ასე თუ ისე ეხება ევროპის დიდს ერებს, უფრო ახლო—რუსეთის ფარგალში ძალად მომწყვდეულ სხვადასხვა ერებს, და, რასაკვირველია, უპირველესად ეხება თვით უკრაინელებს და მის დამჩაგვრელ რუსეთს. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ამ კითხვამ უკრაინელები და ყველა ჯურის რუსები ყველგან აალაპარაკა და ფეხზე დააყენა.

ნიუორკის დღიურ რუსულ გაზეთში «ნოვოე რუსკოე სლოვო»-ში დაბეჭდილ განცხადებას გარდა ადრე გამოვიდა ცნობა, რომ ვლადიმერ ივანეს ძე ლებედევი წაიკითხავს მოხსენებას სათაურით «უკრაინის საკითხი და [illegible] რუსეთის დაყოფისა»-თ. აქაურ რუსების წრეებში ბ. ლებედევი ცნობილია, როგორც ლექტორი სხვადასხვა პოლიტიკურ და ლიტერატურულ თემებზე. ის კერენსკის დროს ნამყოფია საზღვაო მინისტრად. გამომცემელია ქ. ჩიკაგოში რუსულ გაზეთ «რასცვეტ»-ის.

«ნოვოე რუსკოე სლოვო» აცხადებდა: ეს იქნება საპროტესტო კრებაო. მაგრამ იწვევდენ ლექციაზე ყველა მიმართულების რუსებს, ეგრედ წოდებულ კოლოსოვსკებსაც (აქ მყოფი ს. მ. კოლოსოვსკი და თანამოაზრე რუსები ჰიტლერის მომხრენი არიანო) და განსაკუთრებით აცხადებდენ—სასურველია დისკუსიაზე მონაწილეობის მიღება უკრაინელებისო.

აქედან სჩანდა, რომ მომხსენებელი გამოვიდოდა ჰიტლერის წინაამდეგ და აგრედვე შეეხებოდა დამოუკიდებლობის მოტრფიალე უკრაინელებს. ამან, რასაკვირველია, შესაფერი აუდიტორია მოაგროვა.

კრება გაიმართა კვირას რვა იანვარს ნიუორკში «ირვინგ პლაზა»-ს შენობაში. ქალთა და კაცთა რიცხვი აღემატებოდა 500 ს (უადგილობის გამო ბევრი ვერ შევიდა). ამ კრების თავმჯდომარედ განსაკუთრებულად იყო მოწვეული ნ. ნ. ნიკოლაევი, სათათბიროს ყოფილი წევრი (მგონი კადეტი).

რადგან საგანი (და მომხსენებელიც) საყურადღებოდ მიგვაჩნია, მოვიყვანთ უმთავრეს ადგილებს. ლექტორმა დიდი ენტუზიაზმით, მჭერმეტყველობით და პატრიოტულად ორი საათი ილაპარაკა. ჯერ აუდიტორიას გააცნო გენერალ დენიკინის ტრანსფორმაცია, მისი თანდათან აზრთა გამოცვლა. ბოლშევიკების მიერ მისი დამარცხებისას, ის იყო მომხრე ყოველნაირი ინტერვენციისა. მაგრამ დროთა მსვლელობაში ეს აზრი გამოიცვალა და ახლა პარიზში გამოვიდა სრულიად წინაამდეგი ყოველნაირი ინტერვენციისა და განსაკუთრებით ჰიტლერის გეგმისა რუსეთიდან რისიმე მოგლეჯისაო. ლექტორმა სრული თანხმობა განაცხადა გენერალ დენიკინის გამოთქმულ აზრებისა. მხოლოდ განსხვავება მას და ჩემ შორის პოლიტიკურია, რომელსაც აქ არ ვეხებიო.

მერე გადავიდა იმაზე, რომ ზოგიერთი რუსის ჯგუფი ჰიტლერს უახლოვდება. სდებს რაღაც ხელშეკრულებას მასთან და მოელიან მისგან რუსეთის ბოლშევიკებისაგან განთავისუფლებას და მათთვის მართველობის დაბრუნებას. რაც ფუჭი აზრია, რადგან ჰიტლერი მათ ატყუებსო ანდა ეს რუსები მხოლოდ აგენტებია ჰიტლერისაო. ზოგიერთი უკრაინელების ჯგუფებიც მოელიან უკრაინის ხსნას ჰიტლერის მიერ. კიდევაც ირაზმება ჯარი რუსეთის წინაამდეგ. განსაკუთრებულად მოძრაობენ უკრაინის სეპერატისტები. აქ ლექტორმა გააკეთა დიდი ისტორიული ექსკურსია, რომ უკრაინელების სეპერატისტობა იმ სახით, როგორც ახლა არის, დიდი ომის მერე არის დაბადებული. უწინაც, მეცხრამეტე საუკუნის პირველ ხანიდან, იწყება ლიბერალი რუსების და უკრაინოფილების მოძრაობა და არსდება ეგრედ წოდებული «კირილე-მეთოდის ძმობა» კიევში, რომელიც ფედერალისტური სახისა იყო. ასეთივე იყო «ოსნოვა» პეტერბურგში და დრაგომანოვის «გრომადა» ჟენევაში; ყველა ესენი იყვნენ ფედერალისტური, რასაც მე ვიღებ, და არა სეპერატისტულიო.

სულ გაკვრით მოიხსენია: ქართველებიც არიან სეპერატისტები, თუმცა ახლა უკანასკნელ დროს ცოტა შეფიქრდენ (? რედ.), რადგან ეშინიათ ფაშიზმისა, რომელიც უარესი იქნება მათთვის, ვიდრე რამე ოდესმე ჰქონიათ უწინაო... დონის კაზაკებიც და ზოგი სხვა ერებიც არიან სეპერატისტებიო. მომხსენებელს უკვირს—რად დასჭირდათ ამ ერებს სეპერატისტობა. ხომ თვით ბოლშევიკების კონსტიტუცია უკრაინელებს და სხვა ერებს ანიჭებს მეტს, ვიდრე რომელსამე სეპერატისტს როდისმე მოუთხოვია: თავისუფლებას სრულ გამოყოფამდის, და წაიკითხა მეჩვიდმეტე მუხლი სტალინის კონსტიტუციის.

მაგრამ დღეს უკრაინელები მტერს იწვევენ არამც თუ უკრაინაში, არამედ თვით რუსეთის შუაგულშიო, რადგან ჰიტლერი უკრაინით არ დაკმაყოფილდება, ის უეჭველად მოსკოვისკენ გაიწევსო. აქ ლექტორი ისევ ისტორიაში გაემგზავრა და მსმენელთ დეტალურად აუხსნა, რომ ყველა მტრის შემოსევას უკანასკნელ ორი საუკუნის განმავლობაში მოსკოვისკენ ჰქონდა მისწრაფებაო. ახლაც ჰიტლერს აქვს რუსეთის შესახებ მწყობრი გეგმა: უნდა მოიპოვოს ნედლი მასალა და სავაჭრო ბაზარი, ამისთვის უნდა რუსეთი გაანადგუროს როგორც ძლიერი კონკურენტი და გაიკაფოს გზა აღმოსავლეთისკენ—შორს ბრიტანეთის გზებიდან, მაშასადამე უფრო უშიშრადო...

ბოლოს ორატორმა მოუწოდა დამსწრეთ დიდი პათოსით: «რა არის რუსეთი?» და რატომ არის სასიამოვნო რუსეთისთვის ბრძოლა და სიკვდილი... ეს «ჰუმანიური», «კულტურული» რუსეთი საჭიროა იქ დასახლებულ ყველა ერისთვის... ის საჭიროა მთელი კაცობრიობისათვისო... მას ვერ წარმოუდგენია, როგორ შეუძლია რომელიმე ერს რუსეთის დატოვება, სადაც ისინი სულ განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფებიან ვიდრე რომელიმე ერი სადმე დედამიწაზე და სადაც არასოდეს არ ყოფილა არც რელიგიური, არც ნაციონალური შევიწროებაო... ამიტომ ყველამ უნდა გავკიცხოთ მტრის დახმარება-მოწვევა და დავიცვათ სამშობლოო...

ორატორი ხანგრძლივი ტაშით იქნა დაჯილდოვებული.

გაიმართა კამათი. მოლაპარაკის დრო განსაზღვრული იყო 5 წუთით. პირველი სიტყვა ეკუთნოდა უკრაინის საზოგადოების «სბორნა უკრაინა»-ს თავმჯდომარეს ლევ ბეზრუჩკოს. მან თავის სიტყვა დაუთმო ჩეხო-სლოვაკიიდან ახლად ჩამოსულ პროფესორს გრიგორიევს და თან განაცხადა: «უთმობ მას როგორც სხვაზე უფრო ავტორიტეტულ და კომპეტენტურ პიროვნებას უკრაინელთა შორის»-ო.

ტრიბუნაზე ავიდა პირსახით და კილოთი ტიპიური უკრაინელი. ტანად ძალიან მაღალი და ზორბა; თმა და დიდი ულვაშები გათეთრებული. სიმპატიური და ლამაზი პიროვნება. გემრიელი და დალაგებული, კარგი რუსულის მოლაპარაკემ აუდიტორიის დიდი ყურადღება გამოიწვია. როცა დათმობილი ხუთი წუთი და თავისი დრო გაათავა—რამდენიმე პირმა თავთავისი დრო დაუთმეს, ასე რომ ნახევარი

საათი ილაპარაკა (თვით მომხსენებელმა დაუთმო თავის საპასუხო დროიდან 5 წუთი).

პროფესორმა გრიგორიევმა ჯერ შენიშნა უკრაინული ენის და რუსული ენის მსგავსების შესახებ, რომ ეს ქვეყანა ამერიკა იმ ენაზე ლაპარაკობს. რომელზედაც ინგლისელები ლაპარაკობენო, მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს, რომ ერთი ერი ემორჩილებოდეს მეორესო. მერე გადავიდა თვით მომხსენებელის საგანზე და სთქვა, რომ ბევრში ვეთანხმები მომხსენებელს, მასავით მეც მეშინია ჰიტლერისო. მე ვიცი, მას მარტო თავისუფლება არ მოაქვს უკრაინელებისთვის; მე არ მინდა ჩემი სამშობლო გახდეს ომის სარბიელი; ვიცი, ეს გაანადგურებს ჩემს ქვეყანას და იქიდან ჰიტლერი სხვაგანაც წავაო.

მაგრამ ჰიტლერის შესაჩერებელ ზომებს მომხსენებელის სიტყვაში არ ვხედავ: მარტო დაგმობით მტერს ვერ შეაჩერებ, რამე კონკრეტული ზომები უნდა გვქონდესო. ჰიტლერი უკრაინას თავისუფლებას უქადის, თქვენ კი რომ შეგეძლოთ მაინც არ იძლევითო. ნუ ამცირებთ ჰიტლერის პროპაგანდის მნიშვნელობას, ბევრს გულწრფელად სწამს ჰიტლერის დაპირებანი. ბევრი რუსის და უკრაინელის გული დაიწყებს ტოკვას, ფანცქალს საბჭოების ქვეყანაში, როცა რუსების დროშები და უკრაინელების ყვითელ-ლურჯი («ძვირფასი ყოველ უკრაინელისთვის») მოუახლოვდება გერმანიის ჯართან ერთად საზღვრებსო; და რომ შეუშალოთ ხელი ამ მილიონების გულთა ტოკვას და შეაჩეროთ ჯართა შესევა, საჭიროა დაარსება დამოუკიდებელ უკრაინასიო. და ეს მინდა მოხდეს რუსეთის დახმარებით და რუსეთის მიეროო... პროფესორ გრიგორიევის აზრით მაშინ შეიძლება ხელშეკრულება დაიდვას რუსეთსა და უკრაინას შორის, რომ საერთო ძალით დაეცვათ თავი მტრებისაგან.

მე ვარ პატარაობიდან სეპერატისტი; მთელი ჩემი სიცოცხლე, როგორც ბევრი სხვა უკრაინელი, მას, ვეტრფიო. მაგრამ ასეთი სეპერატიზმი არ არის დასაგმობი და არ არის ისეთი, როგორც მომხსენებელმა დაახასიათაო. მე ვარ ისეთი უკრაინელი პატრიოტი როგორც ბატონი მომხსენებელი არის რუსის პატრიოტიო... ვიცოდი, რომ დღეს აქ იქნებოდა პატრიოტული კრება და იმიტომ მოვედი, რომ გამომეთქვა ჩემი აზრი. მართალია, აქ ახლა დრო არ არის, ამიტომ მე მინდა სხვა დროს ამ საკითხზე მოგელაპარაკოთო.

გრიგორიევმა დიდი პატივცემით და სიყვარულით მოიხსენია რუსეთის ლიტერატურა და რუსეთის ლიბერალები, თქვა, რომ თავისი სეპერატიზმი მან მიიღო გერცენის და ბაკუნინის მოძღვრებიდანო. შეეხო მომხსენებელის დასახელებულ ფედერალისტები-უკრაინოფილების ისტორიას და განაცხადა: პროგრამა დეკაბრისტების, «კირილე-მეთოდის ძმობის» და «ოსნოვას» ი თავის დროზე რომ განხორციელებულიყო, დღეს დამოუკიდებლობის კითხვა არ იქნებოდაო. მაგრამ დრო გაშობილი იყო და ის პროგრამა დღეს უვარგისია. ახალი მდგომარეობა მოითხოვს ახალ პროგრამას—და ჩვენ მოვითხოვთ სრულ დამოუკიდებლობას და არა ფედერაციასო...

პროფესორი გრიგორიევი აუდიტორიის ნაწილმა ტაშით დააჯილდოვა (ამბობენ გრიგორიევი ახალი ჩამოსულია ჩეხო-სლოვაკიიდან, სადაც დიდხანს ყოფილა პროფესორად უკრაინელების ემიგრანტულ უნივერსიტეტში. ის თურმე ღებულობდა მონაწილეობას უკრაინელების მოძრაობაში 1918 წ. ჰეტმან სკოროპადსკის წინაამდეგ)...

გამოვიდა ორიოდე უკრაინელიც, რომელთაც სთქვეს, რომ თუმცა დაბადებული ვართ უკრაინაში, მაგრამ ჩვენი სამშობლო მარტო უკრაინა არ არის, არამედ მთელი რუსეთიო, და არ გვინდა გამოყოფაო.

მოლაპარაკე რუსების უმრავლესობამ მომხსენებელს დაუჭირა მხარი. მხოლოდ ერთმა გვარად კუკუშმა გაბედა და სცადა საწინაამდეგო აზრის გამოთქმა: მე ჰიტლერისტი არა ვარ, მაგრამ აქ არ ლაპარაკობენ მათზე, ვინც ჰიტლერი დაჰბადა—სტალინზეო. ამ ორი უბედურობიდან მე მირჩევნია ჰიტლერიო... აქ ასტყდა ისეთი აურზაური და სტვინვა, რომ მიუბედავად თავმჯდომარის და მომხსენებელის ცდისა. მას არ დასცალდა სიტყვის დამთავრება, მხოლოდ შესძლო ორიოდე ფრაზის გამოთქმა: ოცი წელიწადია სახლი-რუსეთი ცეცხლში იწვის, ჰიტლერი ბოლშევიკებს ჩამოაგდებსო...

უკანასკნელი სიტყვა მომხსენებელის იყო; მან პასუხი გასცა ბ. კუკუშს და პროფეს. გრიგორიევს. პირველის საპასუხოდ განაცხადა, რომ ჩვენ საზღვარგარედ მყოფნი დარაჯად უნდა ვიდგეთ ამ ცეცხლმოკიდებულ სახლისაო. ყველა რეჟიმი დროის საქმეა, მაგრამ ჩვენი ქვეყნის სიმთელე ჩვენი სიკეთეა ახლა და მომავალშიცო. ნუ თუ იმ ილცნებისთვის, რომ ვიცხოვროთ რამდენიმე წელი ჩვენი ცხოვრებისა არა ემიგრაციაში («წამი შედარებით რუსეთის ცხოვრებისა»), ჩვენ რუსებმა უნდა ვუღალატოთ ჩვენს ხალხს და წავიდეთ მის წინაამდეგ მტრებთან ერთადო... პირიქით ჩვენი ოცნება ის უნდა იყოს, რომ მოგვეცეს შემთხვევა, თუ რუსეთს მოუხდა ბრძოლა, იარაღით ხელში დავიცვათ სამშობლო მტრებისგანო...

პრ. გრიგორიევს მომხსენებელმა მოუწონა სიმშვიდე და რუსების ამტანობა და იმედი გამოთქვა, ისევ მოგვიხდება ლაპარაკიო. მაგრამ არსებითად თქვენი სიტყვის ჩემი მოკლე პასუხი გამიადვილეს სხვა აქ მოლაპარაკე უკრაინელებმა, რომლებიც დგანან რუსეთთან და ჩვენთან უნდათ ყოფნაო...

აქედან ის დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ, რომ: 1) არიან უკრაინელები სეპერატისტები, რომელნიც მიდიან ჰიტლერთან ერთად და რომელნიც ჩვენი მტრები არიანო. 2) არიან სეპერატისტები, რომელთ უნდათ მეგობრობა რუსეთთან და 3) არიან უკრაინელები, და მე მწამს ესენი არიან დიდი უმრავლესობა უკრაინელებისა. ვისაც ვერ წარმოუდგენია თავის თავი რუსეთის გარეშეო...

აქ ემიგრაციაში ჩვენ არ შეგვიძლია არაფერის გადაწყვეტა. ყველაფერს გადასწყვეტს რუსის ხალხი, მაგრამ ჩემთვის, როგორც ფედერაციის მომხრესი რასაკვირველია უფრო მისაღებია გამოსვლა იმ უკრაინელებისა. ვისაც უნდათ ცხოვრება რუსეთთან ერთადო.

პროფესორ გრიგორიევს ეშინია, რომ სტალინი არ გამოაცხადებს უკრაინის დამოუკიდებლობას და ეს მისცემს შანსებს, საბაბს ჰიტლერსო. ამაზე მე ვამბობ: დიდი უბედურება იქნებოდა, რომ ეს სტალინმა ქმნასო. ეს იმის ნიშანი იქნებოდა, რომ მან დაუთმო ჰიტლერს და უკრაინა არ დაიცვა რუსის ჯარმაო...

მხოლოდ ერთი გამოსავალია, ეს—ფედერაციული რუსეთი, რომელშიც ყველა ერები თანასწორები იქნებიანო... შევჩენკოს, კოსტომაროვის და დრაგომანოვის იდეები არ დაძველებულან, პირიქით, ახლანდელ მდგომარეობაში ისინი გაცოცხლდენო...

ბატონ ლებედევის მჭერმეტყველობით არა გატაცებულ მსმენელს შეეძლო, ბევრი ნაკლულოვანება შეემჩნია მის აზროვნებასა და მსჯელობაში. მოვიხსენიებთ მხოლოდ ორიოდეს.

პირველად ყოვლისა ეტყობოდა, რომ ბ. ლებედევი არის მხოლოდ გატაცებული მოლაპარაკე, ნერვიული ორატორი და აკლია სიდიდე, სიყოჩაღე, ფართე აზროვნება (თუ არ ვიტყვით სიბრძნე). საკვირველია როგორ ეჭირა მას ის დიდი პოსტი რომელიც მან არაერთჯერ მოიხსენია? ლებედევი ერთს წუთსაც ვერ ამაღლდა და ვერ სთქვა, თუ რატომ მოექცნენ რუსეთის რკალში სხვადასხვა ერები სეპარატისტები. გაკვრითაც არ მოიხსენია არავითარი ნაკლულოვანება ან ყოფილ ან აწმყო რუსეთის მართველებისა სხვა ერების მიმართ. უკვირს ამ ერების სურვილი გამოყოფისა «ჰუმანიურ», «კულტურულ» რუსეთიდან. საკვირველია, რატომ ოცი წლის დამარცხებამ არაფერი ასწავლა მათ, ვინც ერთ დროს დიდი პასუხისმგებელი იყვნენ და შეიძლება კიდევაც ფიქრობენ მომავლისთვის საპასუხისმგებლო თანამდებობის მიღებას.

აუდიტორიის დიდი ნაწილი ალბად შესდგებოდა დამარცხებულ, გალიზიანებულ, ნერვებ აშლილ ყოფილ აფიცრობისაგან, რომელთათვის მხოლოდ მთლიანი, განუყოფელი, ძლიერი «დედა-მიწის ერთი მეექვსედი» (ეს ტერმინი მომხსენებელმა არა ერთჯერ იხმარა) რუსეთი სუფევს...

ერთი რამ კიდევ: ცინიზმია თუ ულოღიკობა, როცა ბ. ლებედევმა უკრაინელებს და სხვა ერებს მიუთითა, რომ ახლა საბჭოების კანონით მათ უფრო მეტი დამოუკიდებლობა აქვთ, ვიდრე ოდესმე დასიზმრებიათო! მთელმა ქვეყანამ იცის, რომ ეს კანონი მხოლოდ ქაღალდზეა და არავის იმის სარგებლობის ფიქრიც არ შეუძლია; მერე, ეს კანონი ხომ ბოლშევიკების არის, ვისაც ბ. ლებედევი ებრძვის და ვისი არაფერი სწამს. ამაზე მითითება ან დაცინვა იყო ჩაგრულ ერებზე, ან კითხვის ბანზე აგდება: «თუ გნებავთ—სრული გამოყოფაცო»!.. თვითონ ხომ ამასაც არ იმეტებს!.. ან და რა ლოღიკურია მისი პასუხი პროფესორი გრიგორიევი და მისი თანამოაზრეთა მიმართ: თქვენ უმცირესობა ხართო,—საიდან იცის, რომ უმცირესობაა. ეს არის სირაქლემას წესი. ასეთი იყო წესი წინანდელ რუსეთის მართველებისა და ამან ის დაღუპა...

ამბობენ, პროფესორი გრიგორიევი გაეგებ ჩამოვიდა აქ სამუშაოდო. არ ვიცით: უკრაინელებს შორის თუ რუსებთანაც. თუ უკანასკნელებთან. მაშინ ის ცდება. მათთან არც მოლაპარაკებას ექნება რამე შედეგი და არც «დადებულ პირობას» რამე ფასი...

ქართველს არავის ულაპარაკია (მხოლოდ ორიოდე დაესწრო), უანგარიშობა იქნებოდა. ამ კრებაზე არავინ მოსულა იმ აზრით რომ მოელაპარაკეთ, რამე გამოემუშავებიათ, რამე დაეთმოთ. ვისმესთან რამე საერთო ენა მოენახათ. არამედ ეს კრება იყო პროტესტი; პროტესტი მტრების წინაამდეგ: ნამდვილის და წარმოდგენილის...

ნაეთი.

## ბიბლიოგრაფია

ექ. თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წ. პარიზი 1938 წ.

გამოვიდა მეორე წიგნი ბ. ექ. თაყაიშვილის ძვირფასი არქეოლოგიური ექსპედიციებისა. ეს წიგნი კიდევ უფრო საყურადღებოა. იგი ქართველმა უნდა წაიკითხოს გულდასმით და გადაიკითხოს მეორედ და მესამედაც. მართალია აქ არაა აღწერილობა უხვ საგანძურთა ხატების, ჯვრების, ხელნაწერების, ეკლესიების და მათი მოხატულობის, სხვა საეკლესიო თუ საერო მნიშვნელობის საგნების, რომლებიც ისე მრავლადაა დაცული სვანეთში, აქ მეტ წილად ძველი ტაძრების და ციხეების ნაშთები, ნანგრევებია აწერილი, მაგრამ ეს ნანგრევები ძალიან ბევრის და ბევრის მეტყველია და მკითხველის წინაშე ნათლად იშლება დიადი კულტურა მესხეთისა და მისი ტრაგიული ბედი.

წიგნი ეხება ყოფილი ყარსის ოლქის არტაანის და ოლთისის მაზრების, ე. ი. ძველი კოლას და ტაოს ძეგლებს. ამ ადგილებში ჩვენი პატივცემული მკვლევარი წინადაც ყოფილა. 1902 წ. და ნაწილობრივ აწერა იქაური სიძველენი, რაიც გამოცემულიცაა მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების მიერ. 1907 წ. იგი მეორედ დაემგზავრა კოლა-ოლთისში დაწყებული მუშაობის დასამთავრებლად. მას თან ახლდენ ფოტოგრაფი და ინჟინერი, რომელთაც გადმოიღეს მრავალი სურათი და შეადგინეს გეგმები.

ბ. ექ. თაყაიშვილის ნახული ძეგლები და ადგილები აწერილია ავტორის ჩვეულებრივი ღრმა და კვირვებით და ყურადღებით, მას არ დაუტოვებია განუხილველად არც ერთი მცირე ნივთიც. სრულიად ძნელად მისაწდომ ადგილებშიაც. ავიწერს ადგილმდებარეობას, ტაძრების და ციხეების ნაშთებს, სხვა ნანგრევებსაც.

პირველ თავში აგვიწერს კოლას დოდაშენის, დორთ-კოლისას, ოკამის, ტახტაკრანის, ჯიჯორის, თურქაშენის, მუზარეთის და სხ. სოფლების ეკლესიათა ნაშთებს და კალაჯუხის ციხეს. «სიძველეთა ძეგლები, ეტყობა, კოლაში ბევრი ყოფილა, გვეუბნება ავტორი: არ არის სოფელი ან ნასოფლარი, სადაც არ იყოს ნანგრევები ან ნაშთები ეკლესიებისა, კოშკებისა ან ციხეებისა, მაგრამ ეხლა ყველა ეს უმეტეს შემთხვევაში განადგურებულია». კოლა მდებარეობს მტკვრის სათავესთან და საგულისხმიეროა, რომ

იმ დიდს წყაროს, რომლითაც იწყება ქართველების საყვარელი მდინარე, ეძახიან მაჰმადიანები კურიუხბაჩაი, ხოლო ქრისტიანები—აიაზმას. ე. ი. ნაკურთხს ან წმინდა წყალს. ამ წყაროზე აშენებული ყოფილა ეკლესია, რომლის ნანგრევები დღესაც სჩანს. ალბად ეს ის ადგილია, სადაც ღამე ფარულად მოინათლენ და ამისათვის ეწამენ «ცხრა ყრმა, სულიერნი ძმანი კოლაელნი» (5-6 საუკ.).

წიგნის მეტი ნაწილი, მეორე თავი მიძღვნილია ოლთისის (ტაოს ნაწილის) ძეგლებისათვის. აწერილია ორმოცზე მეტის ადგილის სიძველენი: ტაძრების, მონასტრების, ციხეების, სასახლეების ნაშთები. ამათში შესანიშნავია ბანას ეკლესია, უდიდესი ძეგლი ქართული ხელოვნებისა, საყოველთაოდ განთქმული, რომლის აშენებას ე. თაყაიშვილი მიაწერს 9-10 ს.ს. მიჯნას, წინაამდეგ პროფ. ჩუბინაშვილისა, რომლის აზრით ბანა აშენებულია მეშვიდე ს. ჩვენი მეცნიერი არქეოლოგი ასე დაასკვნის: «ვისაც ტაოს ტაძრების ნაშთები დაუთვალიერებია, ის ადვილად დარწმუნდება, რომ ძველი დროიდან მეათე ს. დასასრულამდის. ამ მხარეს ნაირნაირის გეგმების ძებნა ახასიათებს; არც ერთ სხვა კუთხეში ამდენ სხვა და სხვა გეგმის ტაძრებს ვერ იპოვნით, როგორც აქ. მაგრამ ამავე დროს ხშირია ერთი და იგივე გეგმის გამეორება. მაგალ. ოლთისის ციხის ექვს—აფსიდიანი ეკლესია იგივეა, რაც კიაგმის ალტის ეკლესია; ორთული და ბახჩალი კიმლა ერთგვარი ტრიქონქია, ოშკის ტაძარი საერთოდ გრანდიოზული განმეორება იშხანის ეკლესიის, პარხალი ტიპიური განმეორებაა ოთხთა ეკლესიისა და სხ.»

ოლთისში კალმახის ციხის მახლობლად ბ. თაყაიშვილმა აღმოაჩინა პირველად შესანიშნავი მონასტრის ვაჩე—ძორის (ვაჩი—ძორის) ნაშთები, რომლის არსებობა და სახელიც წინად უცნობი იყო. ეს ვაჩე—ძორი ერთი საუკეთესო ძეგლთაგანია ოლთისის მხარეში.

ვაჩი—ძორის მახლობლად მღვიმეში ავტორმა ნახა ექვსი დიდად საყურადღებო საბუთი მეთუთხმეტე საუკ., ხუთი ქაღალდზე დაწერილი და ერთი ტყავზე, რომელთაც ფრიადი ღირებულება აქვთ ეპოქის ყოფა-ცხოვრების და ვითარების გასაცნობად.

უკანასკნელი მესამე თავი ჩანგლის ეკლესიის აღწერას შეიცავს. ეს ჩანგლი მდებარეობს სომხეთის ნაწილში, ალაშკერტში, სადაც ძველად არსებობდა ქართული საეპისკოპოსო კათედრა.

ასეთია მოკლე თვალის გადავლებით ბ. ე. თაყაიშვილის ახალი წიგნი. მისი შინაარსის სიმდიდრის და ღირებულების გასაგებად საჭიროა მისი ყურადღებით წაკითხვა და დასწავლა.

იმედი ვიქონიოთ, რომ ქართველი ემიგრაცია წინანდებურად არ მოაკლებს თავის თანაგრძნობას მკვლევარს და შეაძლებინებს მას მესხეთის სხვა შესანიშნავ ძეძლების აღწერილობათა გამოსაცემად.

ფ.

## ერმალო ებრალიძე

17 თებერვალს, სოფ. ლევილში, მცირე ხნის ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა ერმალო ებრალიძე. გარდაიცვალა გულის ავადმყოფობით. კვირას ის კრებაზე იყო პარიზში, ორშაბათს თავი სუსტად იგრძნო, თუმცა სამშაბათს ადგა და მეგობრებიც ინახულა. ოთხშაბათს ისევ იგრძნო სისუსტე. ექიმიც მოვიდა, ხუთშაბათს საღამოს მეგობრებთან დიდხანს მუსაიფობდა, თითქოს არაფერი ამბობდა, რომ ეს იქნებოდა უკანასკნელი წუთები მასთან ყოფნისა და მუსაიფისა—პარასკევს დილის სამ საათზე მან სამუდამოდ დახუჭა მისი ალერსიანი თვალები.

ერმალო იყო ემიგრანტი, გადმოხვეწილი აჯანყების შემდეგ. დიდ მონაწილეობას იღებდა რევოლ. მოძრაობაში წინედაც, თვითმპყრობელობის დროს. კიდევ 1904 წელს ჩაება მოძრაობაში, მუშაობდა გურიაში, იმერეთში, იყო დატყვევებული და გადასახლებული რუსეთის ცივ და შორეულ ადგილებში, საიდანაც დაბრუნდა თუ არა, მაშინვე ისევ ჩაება საერთო მუშაობაში. ფიზიკურად ავადმყოფი კაცი იყო, მიუხედავად ამისა, თავს არ ზოგავდა საერთო საქმისათვის. იყო ფერშალი, ეს პროფესია აკისრებდა მას სოფლიდან სოფელში სიარულს. ეს აძლევდა მას საშვალებას ყოფილიყო კავშირი ორგანიზაციებს შორის და ამ მოვალეობას დიდის წარმატებით ასრულებდა მთელი წლების განმავლობაში. საკვირველი ისაა, რომ ეს ავადმყოფი კაცი ახერხებდა მუშაობას ისეთ მძიმე პირობებშიც, რომელიც შექმნეს კომუნისტებმა. ასეთ პირობებში ის უდიდეს აქტიობას იჩენდ აჯანყების მოსამზადებლად და თვით აჯანყებაში მისი ერთი ფაქტიური მეთაურთაგანიც იყო მთელ ლანჩხუთის რაიონში. აჯანყების დამარცხებამ ის აიძულა დაეტოვებია სამშობლო და შეფარებოდა საფრანგეთს, ცხოვრობდა სოფ. ლევილში მშვიდად და წყნარად, ყველას ერთგული, ყველას გამტანი და ყველას ამტანი, ყველას უანგარო პატივისმცემელი და მოამაგე. ვისაც მასთან ერთხელ მაინც, თუ გინდ მცირე ხნით, ჰქონია შეხვედრა თუ მუსაიფი, არ შეუძლია არ იგრძნოს უდიდესი მწუხარება მისი დაკარგვით. ათასმა გაჭირვებამ და მწუხარებამ ვერ წაშალა და ვერ დააჩლუნგა მასში ის კეთილშობილური გრძნობები, რომელსაც ასე იშვიათად შეხვდებით ამ დუხჭირ ემიგრანტულ ცხოვრებაში. წავიდა ჩვენი ერმალო და თან დაგვიტოვა ყველას უზომო ნაღველი და სამუდამო ხსოვნა და პატივისცემა...

კვირას, 19 თებერვალს, ის დასაფლავებულ იქნა მრავალი მეგობრის და ამხანაგის თანადასწრებით ლევილის სასაფლაოზე. კუბო შემკული იყო მრავალი ყვავილებით. გვირგვინებს შორის იყო საქარ. სოც.-დემ. ბიუროს, პარიზის სოც.-დემ. ორგანიზაციისა და «სოც. აზრი» ს. გამოსათხოვარი სიტყვები წარმოსთქვეს ზ. ჩიჩუამ, პ. სარჯველაძემ და ვლ. მგელაძემ.

გრ. ურატაძე.

## გრიგოლ ნადარეიშვილი

კოშენის საავადმყოფოში 22 დეკემბერს უდროოდ იმსხვერპლა ჭლექმა ნიჭიერი ახალგაზდა გრ. ნადარეიშვილი. განსვენებული ეკუთვნოდა იმ ახალგაზდათა ჯგუფს, რომელნიც ნაკლებად «ყვირიან», მაგრამ ბევრს მუშაობენ და საზოგადოების საუკეთესო ნაწილს შეადგენენ. იგი მუშაობდა სორბონში და ემზადებოდა სამეცნიერო კარიერისათვის. მას ხშირად აკლდა საჭმელ-სასმელი, მაგრამ მაინც მუყაითად მუშაობდა. სათუთმა ორგანიზმა ვერ გაუძლო ყოველგვარ გაჭირვებას და უდროვოდ დაიღუპა. განსვენებული დაკრძალული იქნა 26 დეკემბერს ტიეს სასაფლაოზე.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ. თქვენი გაზეთის მომავალ ნომერში ადგილი დაუთმოთ ქართველ ბავშვთათვის გასულ წელს გამართულ შობის ხის ანგარიშს.

| | |
|---|---|
| შემოსავალი | 4.291 ფრ. 40 ს. |
| გასავალი | 3.574 ფრ. 20 ს. |
| დარჩა . . . | 717 ფრ. 20 ს. |

დიდ მადლობას ვუძღვნით ქვემო დასახელებულ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და შობის ხის მოსაწყობად თავიანთი წვლილი გაიღეს. ქ-ნ ელენე აფხაზისამ 500 ფრ., ქ ნ ელ. წერეთლისას-დემოლლონისამ 50 ფრ., ქ-ნ ტანი ამილახვრის ას. 50 ფრ., ქართველმა იუნკრებმა პოლონეთიდან 152 ფრ. (30 ოქრო. რომელიც დოლიკ ვ-ჩნაძის ხელით გასული წლის თებერვალში მივიღეთ), მამა გრიგოლ ფერაძემ 50 ფ. ბ ნ ნოე ცინცაძემ 50 ფრ., ბ-ნ მიხეილ ჩუბინიძემ 50 ფ., მისმა მაღაზიამ 30 ფრ., ბ ნ ჭიჭიკო მდივანმა 50 ფრ., ბ. გიორგი ერაძემ 25 ფრ.. ბ. ალ. ასათიანმა 25 ფრ. და ბ-ნ ნიკო სიდამონ-ერისთავმა ათი ფაიფურის თეფში ქართული წარწერებით.

ნება გვიბოძეთ, ამ შობის ხეზედ მომხდარ უსიამოვნებასაც აქვე შევეხოთ. ჩვენდა სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ ზრდილობა და თავდაჭერა, რაც ყოველთვის ასე ამშვენებდა ქართველ ადამიანს, დღეს ძალიან არის დაქვეითებული, განსაკუთრებით ემიგრაციაში. არაფრის არც მორიდებაა, არც პატივისცემა და ეს იმ ზომამდის. რომ შობის ხის ტრადიციულ დღესასწაულსაც აღარ ინდობენ.

ასე რომ მთელი ჩვენი შრომა—წელიწადში ერთხელ მაინც გავახაროთ და ვამხიარულოთ ერთად თავმოყრილი ბავშვები. ხშირად ამაოდ რჩება და მიზანს ვერ აღწევს.

იშვიათია ისეთი წელიწადი, რომ საზოგადოებას სიამოვნება არ ჩამწარდეს და იგი მძიმე შთაბეჭდილებით არ დაიშალოს. ჯერ კიდევ მაშინ, ვიდრე შობის ხის გამართვას «ქართული კერა» ხელს მოჰკიდებდა, არა ერთხელ ვყოფილვართ მოწამენი ამ დღესასწაულზედ სხვადასხვა უმსგავსი სანახაობისა.

ჩვენი საზოგადოება რომ თავ თავის დროზედ ენერგიულად გამოხმაურებოდა ყოველ ასეთ შემთხვევას და სათანადოდ დაესჯა მისი ავტორები. ალბად მაშინ თავშეკავებაც მეტი იქნებოდა და ქართველის სახელიც უფრო დაცული როგორც შინ ისე გარედ, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენში ყველაფერი თავის ანაბარას არის მიტოვებული და ამას ყური არავინ ათხოვა. რაც შეეხება უკანასკნელ შობის ხეზედ მომხდარ ამბავს, ამან კი ყველაფერს გადააჭარბა.

ჩვენ, «ქართული კერის» ხელმძღვანელნი დიდად ვართ აღშფოთებულნი ამ ამბით და უკიდურესი სიმკაცრით ვგმობთ ამ ქართული ღირსების დამამცირებელ საქციელს.

ამავე დროს არანაკლებ გულისწყრომას ვაცხადებთ ჟურნალ «კავკასია»-ს იანვრის ნომერში მოთავსებულ წერილის გამო, რომელშიაც ვინმე «ყველგან დამსწრე» აგვიწერს რა შობის ხეზედ მომხდარ უსიამოვნებას, «ქართ. კერა»-ს ხელმძღვანელებსაც შემდეგის სიტყვებით ეხება:

«თვითონ «თავდასხმა» განზრახულს, მაგრამ ცუდად შესრულებულ «საქმეს» ჰყავდა: «ქართული კერის» ხელმძღვანელებმა მიიღეს ანონიმური წერილი გაფრთხილებით და «კავკასიელები კი არ გააფრთხილეს, არამედ ყველას სათითაოდ გაუგზავნეს მოწვევის ბარათები და პირადადაც სთხოვეს მობრძანება —«შობის ხეზედ».

ამ სიტყვებიდან ისე გამოდის. თითქოს შობის ხეზედ «კავკასიელების» წინაამდეგ შეთქმულება იყო მოწყობილი და «ქართ. კ.» ის ხელმძღვანელები ამ შეთქმულების აქტიური მონაწილენი ვიყავით.

წერილის ავტორმა ძალიან კარგად იცის, რომ ეს არ არის მართალი, მაგრამ ამას მაინც სწერს და ამ მძიმე ბრალდებას შეგნებულად თავს გვახვევს.

მის საპასუხოდ ვაცხადებთ. რომ არავითარი წინასწარი გაფრთხილება ჩვენ არ მიგვიღია. თორემ შობის ხეს სულაც აღარ მოვაწყობდით და, რასაკვირველია, მაშინ ყველას გავაფრთხილებდით და არა მარტო «კავკასიელებს».

«ყველგან დამსწრე», როგორც მის წერილში აქაიქ ნახმარ ტერმინოლოგიიდან სჩანს, უფრო მაღალი რიგისა და ძველი თაობის მოღვაწე უნდა იყოს და სრულიად გაუგებარია, რად დასჭირდა მას ამ ყოვლად უმსგავსი საქმის მონაწილედ ქართველი მანდილოსნებიც გამოეყვანა; განა ჩვენ სავალალოდ ის კი არ კმარა, რომ ქართველმა მამაკაცებმა წლების განმავლობაში ერთმანეთის დამცირებასა და გაფუჭებას ზღვა მელანი შეალიეს, რომ ეხლა მათ ქირდვის ობიექტად ქართველი ქალის ღირსება არ გაიხადონ და მას სრულიად დაუმსახურებლად ჩირქი არ მოსცხონ?

ამის შემდეგ რაღა მოეთხოვება იმ საცოდავ ახალგაზდობას, რომლის საქციელიც ზემოდ დავგმეთ და რომელიც გაზრდილ-დავაჟკაცებულია მოწამლულ ატმოსფეროში, ოჯახის გარეშე, უდედმამოდ არალეგალურ ცხოვრების და ემიგრაციის შარა გზაზედ.

«ქართული კერა».

## უკრაინელთა შორის

გასული წლის ბოლოს პრაგაში შესდგა უკრაინელ სოც.-დემოკრატიულ პარტიის საზღვარგარეთულ ორგანიზაციების კონფერენცია, რომელმაც შემდეგი რეზოლუცია გამოიტანა:

«უკრაინის სოც.-დემ. მუშათა პარტიის ხელმძღვანელთ ყოველთვის ჰქონდათ მუდმივი ურთიერთობა პარტიის წევრებთან უკრაინაში. სამწუხაროდ ორგანიზული პოლიტიკური ცხოვრება უკრაინაში, განსაკუთრებით უკანასკნელ მეტად მძიმე წლებში ბოლშევიკურმა ტერორმა დაშალა, რის გამო მეტისმეტად გაძნელდა ყოველი დამოკიდებულება უკრაინასთან.

უკრაინის სოც.-დემ. მუშათა პარტიის საზღვარგარეთის კონფერენციამ, განიხილა რა უკრაინის შინაური ვითარება და საერთაშორისო მდგომარეობა, დაასკვნა, რომ უკრაინაში ნორმალური პოლიტიკური ცხოვრება აღსდგება მხოლოდ მაშინ, როცა უკრაინელი ერი განთავისუფლდება უცხოთა ბატონობისაგან და დაიარსებს საკუთარს დამოუკიდებელს სახელმწიფოს. კონფერენცია დარწმუნებულია, რომ უკრაინის ერის ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის არ იქნება წარმატებული, თუ არ შეიქმნა მასიური პოლიტიკური ორგანიზაციები.

ამიტომ კიდებთ რა მხედველობაში უკანასკნელი ოცი წლის ღრმა ცვლილებებს უკრაინის შინაურ პირობებში, მიზნად ვისახავთ ისეთი პოლიტ. პარტიის დაარსებას, რომელიც თავს მოუყრის უკრაინელ ერის მეტად ფართო ფენებს—მუშებს, გლეხებს და ინტელიგენციას. რათა დაუყონებლივ შევუდგეთ ამის მოსამზადებელ მუშაობას, კონფერენცია აცხადებს გაუქმებულად უკრაინის სოც.-დემ. მ. პარტიის საზღვარ გარეთის ყველა ორგანიზაციას და იწვევს თავის წარმომადგენლებს სოციალისტურ ინტერნაციონალიდან».

## «პრომეთეს» კლუბი საფრანგეთში

პარიზში დაარსდა კულტურული საზოგადოება «პრომეთე», რომელსაც აქვს დასახული ფართე ხასიათი—კულტურულ-იდეური მუშაობის წარმოება პრომეთეს ერთა ემიგრაციის წრეებში. კლუბი ჰქმნის მეცნიერულ, მუსიკალურ-ლიტერატურულ, სპორტულ და სხ. სექციებს, რომელნიც მოაწყობენ ამ დარგებში სათანადო სალამოებსა და ლექციებს.

კლუბის მუშაობა უკვე დაიწყო და მისი გახსნის საზეიმო დღეც დანიშნულია კვირას, 5 მარტს, სალამოს 8 ნახ. საათზე—ავენიუ ანრი მარტენზე, № 16. კლუბის გამგეობის სახელით ბ. ალ. ასათიანი გააცნობს საზოგადოებას კლუბის მიერ დასახულ მიზანსა და გეგმებს და ნ. კოვალსკი გააკეთებს მოხსენებას უკრაინის პრობლემის შესახებ.

## კაზაკების კრება

შაბათს, 4 მარტს, სალამოს 8 ნახევარ საათზე დარბაზში 15 Av. Hauche (მეტრო ეტუალ ან კურსელ) კაზაკთა ნაციონალისტები მართავენ საჯარო კრებას, რომელზედაც მოხსენებებს გააკეთებენ გენერ. კონოვოდოვი და ისტორიკოსი ბიკადაროვი.

## ქართველები საფრანგეთში

1939 წლის მარტის 12-ს, სალამოს 9 საათზე, ცამეტი წლის ეთერ რუხაძის ასული, რომელმაც პირველი ჯილდოთი დაასრულა ქ. მონპელიეს ნაციონალური კონსერვატორია, გამართავს კონცერტს Salle Gaveau—45, rue de la Boëtie (მეტრო (Miromesnil). ბილეთების შეძენა შეიძლება ქართულ ოფისში, ბ-ნ გოგოლაშვილთან და კონცერტის დღეს სალამოს შვიდი საათიდან ზალის კასაში.

## განცხადება

ქართველ ყოფილ მხედართა საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს: რომ საფრანგეთის კანონების თანახმად: 1934 წელში გაცემულ საწევრო ბარათებს ვადა გაუვიდათ და გაუქმებული არიან.—ბარათების გამოსაცვლელად საჭიროა: ამა წლის 5 აპრილამდე წარმოდგენილი იქმნეს გამგეობაში: 1) ძველი საწევრო ბარათი, 2) ერთი სურათი, 3) 1939 წლის საწევრო გადასახადი 20 ფრ. (უმუშევართათვის 5 ფრ.). მისამართი: კოლონელ ცხაკაია, 55 ავენიუ ედუარდ ვაიან, ბულონ სიურ სენ, 2—3 საათამდე ყოველ დღე. საზ. თავმჯ-რე ვ. ცხაკაია, მდივანი ა. ზურაბიშვილი.


ახალი წიგნი

მალე გამოვა გრ. ურატაძის წიგნი:

**საზოგადოებრივი მოძრაობა საქართველო-ში**


დაბეჯითებით ვთხოვთ ხელის მომწერთ,
დროზე შემოიტანონ ხელის მოწერის ფასი.
ვიზედაც დარჩენილია ძველი, მოვაგონებთ,
რომ გაასწორონ ანგარიში, მოკლე ვადაში.


გაზეთისათვის დასაბეჭდი მასალები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

M-r PIRTSKALAVA
10. rue Jules Ferry. Leuville-s-Orge (S.-et-O.)
France.

Leuville-sur-Orge. — *Imprimerie de Leuville.*

Le Gérant : J. DUCROS